საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 12 ნოემბერი. 2019 წ. №223 (8889) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

რამაზ სურმანიძე:

ავყიობა, სიცრუე, ამპარტავნობა...

5

ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელია ხელისუფლების, სულიერების და ეროვნული, მამულიშვილური გრძნობების ერთიანობა. ასეთ ხალხს ვერც ერთი ძალა ვერ დაამარცხებს.

რატომ იცავენ მთავარ ქრისტიანულ სიწმინდეს მუსლიმები?.. 8

„ეროვნული ფელიეტონი“

ლამბადა ჯობდა... 4

ჩვენი პრიორიტეტები ევროსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე

საქართველოს ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტების განხილვა იყო პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩის შეხვედრის მთავარი თემა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის პრიორიტეტები დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას ეფუძნება. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრისას ასევე განხილული იყო საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც აღნიშნულ წლებში საქართველოს მიერ ევროპის საბჭოსთან ერთად განსახორციელებელ პროექტებს მოიცავს.

ხაზი გაესვა დღემდე არსებული სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების პროცესში. მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ მომავალ პროგრამასაც კონკრეტული, ხელშესახები შედეგები ექნება. პრემიერმა გენერალურ მდივანს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით მტკიცე მხარდამჭერი პოზიციისთვის მადლობა გადაუხადა.

პრეზიდენტმა კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარება ევროპის საბჭოს გენმდივანთან განიხილა

საქართველოს პრეზიდენტი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილსა და მარია პეინჩინოვიჩ ბურიჩს შორის შეხვედრისას საუბარი შეეხო ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობისთვის საქართველოს მზადების საკითხს და საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო გეგმებს.

პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა ის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები განიხილეს, რომელიც საქართველომ თავისი პრეზიდენტობის ფარგლებში შეარჩია. საუბარი შეეხო ასევე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსა და ამ რეგიონებში არსებულ ვითარებას.

მეცნიერების მსოფლიო დღე მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 3

კურორტი 2 წყალტუბო 2024 წლიდან ამოქმედდება

ქართველი ერის არჩევანი ბ-ნი 6 ხახაშვილის სამსჯავროზე

ვაქცინა, რომელიც კიბოს მეტასტაზებს კლავს 12

დავით ზალკალიანი: ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობა საქართველოსთვის არის დიდი პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო წელს პირველად, ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან ოცი წლის შემდეგ, გადაიბარებს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობას და 27 ნოემბრიდან ექვსი თვის ვადით უხელმძღვანელებს მინისტრთა კომიტეტს, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ორგანიზაციაში გაწევრიანება იყო ქართველი ხალხის სწრაფვა ევროპული ღირებულებებისა და ცივილიზაციისკენ და ასევე მზაობა გამოწვევებისთვის, რომლებიც ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმებს მოსდევს“, – აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მარია პეინჩინოვიჩ ბურიჩს დღეს შეხვდა. **შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილი ვითარების შესახებ. ხაზი გაესვა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის, უკანონო ბორდერიზაციისა და ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტებს.**

ევროკავშირისა და ჩვენი ინტერესები საერთოა...

ევროკავშირისა და ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ეს არის ის, რომ ვითარების დაძაბვა და ესკალაცია კი არ უნდა მოხდეს, პირიქით, განიმუხტოს და ამ განმუხტვის ფონზე არსებული პრობლემები, კონფლიქტები მოგვარდეს, – ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის მიერ ოკუპირებულ ცხინვალთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაზე კომენტარისას აღნიშნა.

ამასთან, როგორც ჩუგოშვილი ამბობს, ოპოზიციის ბრალდებებს, ხელისუფლების არასაკმარის ნაბიჯებთან დაკავშირებით, არ უპასუხებს.

„ოპოზიციას არ ვუპასუხებ, რადგან მათი განცხადებები პასუხსაც არ იმსახურებს. რაც შეეხება ევროკავშირს, ევროკავშირისა და ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა – ეს არის ის, რომ ვითარების დაძაბვა და ესკალაცია კი არ უნდა მოხდეს, პირიქით, განიმუხტოს და ამ განმუხტვის ფონზე არსებული პრობლემები, კონფლიქტები მოგვარდეს.

საკმაოდ მძიმე ზაფხული გვქონდა და მთელი ზაფხულის განმავლობაში, ასევე შემდგომაც, იყო არაერთი მცდელობა, რომ რეალურად ტემპერატურა უფრო აწეულიყო, ჩვენი მხრიდან გარკვეული ნაბიჯების პროვოცირება მომხდარიყო, რომელიც შემდგომ გადაიქცეოდა სერიოზულ პრობლემად ჩვენთვისაც და ყველასთვის. ასეთ პროვოკაციებს არ ვყვებით და მაქსიმალურად ვცდილობთ, საერთაშორისო პარტნიორების გააქტიურებით და ჩართვით ეს ტემპერატურა დავწიოთ. მთავარი ამოცანა ეს არის, რადგან კონფლიქტის ესკალაცია და მძიმე შედეგის მომტანი შედეგები ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია“, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

კობა გვენეტაძემ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს საკოლექციო მონეტა აჩუქა

ევროსაბჭო დაარსებიდან 70 წელს, ხოლო საქართველო ამ ორგანიზაციაში წევრობის 20 წლისთავს აღნიშნავს.

ამ თარიღებთან დაკავშირებით ეროვნულმა ბანკმა სპეციალური მონეტა გამოუშვა, რომელზეც, საქართველოსა და ევროსაბჭოს სიმბოლიკასთან ერთად, დატანილია ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვები – „მე ვარ ქართველი, და მაშასადამე, ვარ ევროპელი“, რომელიც ქართველმა პოლიტიკოსმა ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებისას წარმოთქვა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ აღნიშნული მონეტა საჩუქრად გადასცა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან მარია პეინჩინოვიჩ ბურიჩსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს.

ევროკავშირმა ცხინვალის რეჟიმის მიმართ ძალიან კარგი განცხადება გააკეთა

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გია ვოლსკის შეფასებით, ევროკავშირმა ცხინვალის რეჟიმის მიმართ ძალიან კარგი განცხადება გააკეთა.

როგორც ჟურნალისტებს ვოლსკიმ განუცხადა, აღნიშნული განცხადება ავსებს იმ პოლიტიკურ ველს, სადაც საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები და ორგანიზაციები ინტენსიურად გამოდიან, რათა კიდევ ერთხელ დააფიქსირონ, როგორ აფასებს მსოფლიო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებს.

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურში აცხადებენ, რომ მიუღებელია ცხინვალის რეჟიმის მხრიდან, ფაქტობრივად, არაზუსტი განცხადებები, რომლებიც მხოლოდ გაამწვავებენ დაძაბულობას.

ჩვენი ამოცანაა, კურორტი წყალტუბო 2024 წლიდან ამოქმედდეს

ბიზნესს უნდა ჰქონდეს ნათელი ხედვა, თუ როგორ განვითარდება კურორტი წყალტუბო. ამ კუთხით, პირველი და მთავარი აქცენტი კეთდება გენერალური გეგმის შემუშავებაზე, რაც მოხდება არასამთავრობოს სექტორის, ექსპერტების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობით. ჩვენი ამოცანაა, რომ კურორტი 2024 წლიდან უკვე ამოქმედდეს, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ჟურნალისტებთან საუბრისას წყალტუბოს განვითარების კონცეფციის საჯარო პრეზენტაციის შემდეგ.

მინისტრის განცხადებით, მთავრობა მოკლე ვადებში წყალტუბოში არსებულ სახელმწიფო ქონებას ბიზნესს საბაზრო ფასად შესთავაზებს.

მისივე განცხადებით, დღეს არსებული ოფიციალური შეფასებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 15 ობიექტის ფასი 47,5 მლნ ლარია.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის სოციალური ქველმოქმედების განხორციელების ინიციატივამ ძალიან ძლიერი სტიმული შექმნა ყველასთვის, მათ შორის, იმ კონკრეტული ბიზნესებისა და ინვესტორებისთვის, რომლებიც უკვე ფლობენ წყალტუბოში სასტუმროებს თუ სანატორიუმებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო დღემდე ინვესტიციის განხორციელება ვერ მოახერხეს.

გარანტირებული ინვესტირება „ქართუსგან“ და „თანაინვესტირების ფონდისგან“

სასტუმრო „რადისონში“ წყალტუბოს განვითარების გეგმის საჯარო განხილვა მიმდინარეობს. დღევანდელ პრეზენტაციას არქიტექტორები, ურბანისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, ასევე ბიზნესისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებიან. სტუმრებს წყალტუბოს რეაბილიტაციის პროცესში ინფრასტრუქტურის სამინისტროს როლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ვიცე-პრემიერმა, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა.

მაია ცქიტიშვილის განცხადებით, წყალტუბოს რეაბილიტაციის პროცესში გენგეგმის მომზადება არის მისი უწყების მთავარი ამოცანა, რომელსაც სივრცითი მოწყობის დეპარტამენტი შეიმუშავებს. მაია ცქიტიშვილის თქმით, უკვე დაწყებულია წყალტუბოში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახლების მშენებლობის პროცესი, რომლის ნაწილიც წელს დასრულდება. როგორც ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, წყალტუბოს რეაბილიტაციის პროცესში აბასთუმნის რეაბილიტაცია კარგი მაგალითია.

„სადაც სახელმწიფო ვერ გასწვდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ბიზნესი ვერ გასწვდება კერძო პროექტებს, გარანტირებული ინვესტირება იქნება „ქართუ ფონდისა“ და „თანაინვესტირების ფონდისგან“ და ეს არის ფუფუნება და გარანტია, რომ პროცესი ბოლომდე მივა“, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

МЕЦНИЕРЕБИС МСОФЛИО ДРО МЕЦНИЕРЕБАТА ЕРОВНУЛ АКАДЕМИАШИ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 8 ნოემბერს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების მსოფლიო დღეს.

2001 წელს „იუნესკოს“ მიერ დაფუძნებული მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის, ყოველწლიურად მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება ნოემბრის თვეში. ეს დღე დაარსდა მეცნიერების მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც ასევე „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ბუდაპეშტში (უნგრეთი) 1999 წელს მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ.

ყოველწლიურად ამ თარიღის აღნიშვნა ემსახურება იმ მიზანს, რომ გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მეცნიერების როლის აუცილებლობა. ამგვარად, მეცნიერების მსოფლიო დღე ეხმარება მეცნიერებს, აჩვენოს ფართო საზოგადოებას, რა ადგილი უკავია მას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც არ ჩამორჩება ამ საყოველთაო ზეიმს და ყოველწლიურად აღნიშნავს ამ თარიღს. წლეულს ეს ღონისძიება ჩატარდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ** და დამსწრე საზოგადოებას ეს დღე და აგრეთვე ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე მიულოცა. შემდეგ სიტყვა გადაეცა სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტს **გურამ ალექსიძეს**. მეცნიერები დალოცა პროტოპრესვიტერმა, მამა **გიორგი ზვიადაძემ** და საპატრიარქოს სახელით ყველას მიესალმა. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე,** რომელმაც თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ მეცნიერების გარეშე ვერცერთი ერი მომავალს ვერ შექმნის. მეცნიერებას შეუძლია, წარსული და მომავალი დააკავშიროს, თაობებს შორის თანამშრომლობა და საერთაშორისო საზოგადოებასთან კავშირი უზრუნველყოს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გელათისა და იყალთოს აკადემიების ტრადიციების მემკვიდრეა და ინახავს, თაობებს გადასცემს ცოდნას, რომლის შექმნას ასწლეულები სჭირდება. ეს ცოდნა უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული“.

პარლამენტის თამჯდომარის გამოსვლის შემდეგ სიტყვა დაეთმო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ნოდარ ჭითანავას,** რომელმაც მოხსენება გააკეთა მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემების შესახებ საქართველოში.

მეცნიერების მსოფლიო დღის მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ გამოჩენილ მეცნიერთა სახელობის აკადემიური პრემიის ლაურეატებისთვის დიპლომების გადაცემა. დიპლომები გადაეცათ: აკადემიკოს **ავთანდილ კორახაშვილს** – ლეონარდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია ნაშრომისათვის – „აგროტექნოლოგიური ნორმატივები“ და პროფესორ **დუდანა გაჩეჩილაძეს** ფრიდონ თოდუას სახელობის პრემია ნაშრომისთვის – „ექსტრაკრანიული სისხლძარღვთა პათოლოგიების არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“;

დარგში წარმატებულ მეცნიერთა საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ: მეცნიერებათა დოქტორი **თამარ ბელაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დარგში; აკად. წევრ-კორ. **გურამ გაბრიჩიძე** – სამშენებლო მექანიკის დარგში; მეცნ. დოქტ. **გივი გავარდაშვილი** – ჰიდრომელიორაციის დარგში; პროფესორი **ლერი გვასალია** – ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების დარგში; აკად. წევრ-კორ. **გიორგი გოგიჩაიშვილი** – მართვის სისტემების დარგში; პროფესორი **თამარ კაჭარავა** – აგროტექნოლოგიის დარგში; პროფესორი **ირინე კვაჭაძე** – მედიცინის დარგში; აკად. დოქტ. **ზაზა ლეჟავა** – სპელეოლოგიის დარგში; სოფლ. მეურ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი** – აგროქიმიის დარგში; მეცნ. დოქტ. **გიორგი მაჩაბელი** – ფიზიკის დარგში; პროფესორი **მიხეილ მახარაძე** – ფილოსოფიის დარგში; პროფესორი **ნარგიზ ნაჭყებია** – ფიზიოლოგიის დარგში; აკად. დოქტ. **ალექსი პაჭკორია** – მათემატიკის დარგში; პროფესორი **ჯაბა სამუშია** ისტორიის დარგში; პროფესორი **გიორგი ქოჩიაშვილი** – მედიცინის დარგში; პროფესორი **ელისო ყვავაძე** – პალინოლოგიის დარგში; პროფესორი **ელმირა ჩხიკვაძე** – ელეტროქიმიის დარგში; აკად. დოქტ. **კუკური წიქარიშვილი** – სპელეოლოგიის დარგში; აკად. დოქტ. **გიორგი ჭეიშვილი** – ისტორიის დარგში; პროფესორი **ჯუმბერ ხანთაძე** – არაორგანული მასალათმცოდნეობის დარგში; აკად. **ელუჯა ხინთბიძე** – ქართული ლიტერატურის დარგში; პროფესორი **გიორგი ჯაფოშვილი** – ენტომოლოგიის დარგში; პროფესორი **მარიკა ჯიქია** – აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

დაბოლოს, სოფლის მეორნეობის აკადემიის პრეზიდენტმა **გურამ ალექსიძემ** თავიანთი აკადემიის სიგელით დააჯილდოვა – აკადემიკოსი **ოთარ ნათიშვილი,** აკადემიკოსი **ნოდარ ჭითანავა** და **გიორგი ნიკოლეიშვილი**.

ნათია ვადაჭკორია,
საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი.

„ოცნების ქალაქში“ შეჭრილებს ახალი ბინებით დააკმაყოფილებენ

ბათუმში, ე.წ. ოცნების ქალაქში თვითნებურად შესახლებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მალე დაიწყება, –განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ სპეციალურ ბრიფინგზე.

„ეს იყო ყველაზე დიდი სოციალური გამოწვევა, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდათ მოქალაქეებს, ასევე მთლიანად რეგიონს. გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, უკვე დასრულდა პროექტირება და დღესვე გამოვაცხადებთ სახელმწიფო შესყიდვას. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 580 ბინით უზრუნველყოფა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში არც ერთი ადამიანი არ იქნება მეორეხარისხოვანი, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება 1 000-ზე მეტ ბავშვს და მათ ოჯახებს“, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის ცენტრალურ მთავრობასა და მმართველი პარტიის ლიდერს მადლობა გადაუხადა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, პროექტისთვის წელს ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამი მილიონ 750 ათასი ლარი, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში კი, 16 მილიონი ლარი. მისივე ინფორმაციით, მომზადებულია მშენებლობის პროექტიც, რომელსაც გავლილი აქვს ოთხი ექსპერტიზა. სატენდერო თანხა კი აღემატება 41 მილიონ ლარს და პროექტის ფარგლებში განხორციელდება 54 ათასი კვადრატული მეტრი ფართის მშენებლობა. მშენებლობა შესაბამის კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვეში უნდა დასრულდეს.

კიდევ ერთი საუკუნოვანი სახლი აღდგება

ვერაზე, იაკობ ნიკოლაძის ქ. №4-ში, საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრება მიმდინარეობს. შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამაგრდება. პროექტით გათვალისწინებულია შენობის კონსტრუქციული ელემენტების – საძირკვლისა და მზიდი კედლების არმირება და ბეტონირება, ასევე, ფანჯრების ღიობების მოჩარჩოება.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლი მე-19 საუკუნის ბოლოს აშენდა, სადაც ცნობილი ინჟინერი ნ. სლავინსკი ცხოვრობდა, რომელიც ყოფილი ჩელუსკინელების სახელობის, ახლანდელი თამარ მეფის ხიდის მშენებელია.

ამჟამად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობაში შვიდი ოჯახი ცხოვრობს. შენობის გამაგრების შემდეგ, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში დასრულდება, მათი საცხოვრებელი პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდება.

სამუშაოების განხორციელებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 207 000 ლარი დაიხარჯება.

ვნახე ლევან აკინის ფილმი „და ჩვენ ვიცეკვეთ“.

არ შეგეშინდეთ ხალხო, კინოთეატრში ნამდვილად არ ვყოფილვარ, არც პოლიციისა და პროტესტანტების კორდონები გამივლია, არც ძვები მისვრია და არც მომხვედრია.

ჩვეულებრივად ვიყავი წამოწოლილი დივანზე და ჩემს ლეპტოპში ძალიან მშვიდად ვუყურე.

ნახვის შემდეგ ჩემი თავი შევათვალიერე და...

არც ქართველობა დამიკარგავს, არც ოკუპაციის მიმართ შემცვლია ჩემი დამოკიდებულება, არც კომბლის გამოთლა დამიწყია და არც ფილმის შინაარსიდან თუ რეჟისურიდან, რაიმე ღირებული დამრჩენია.

ლამბადა ჯობდა...

Toma Beglashvili (RFE/RL)

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იყო საშუალოზე დაბალი ხარისხის ფილმი, რომლის ავტორებსაც ჰქონდათ ერთი მიზანი — კონკრეტულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, კონკრეტულ თემაზე გამოეხატათ თავიანთი აზრი და იცოდნენ რა, რომ იმ კონკრეტულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, როგორც საქართველოა, მსგავსი თემის განვრცობას მოჰყვებოდა საკმაოდ ხისტი პროტესტი, გარკვეული სახის პოპულარობა მოეპოვებინათ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათმა ჩანაფიქრმა გაამართლა.

გაამართლა რადგანაც ყველაფერი ის, რასაც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ვუყურებდით, „სუფთა ქართული“ სცენარით ვითარდებოდა.

ფილმისადმი და საერთოდ მსგავსი თემებისადმი საზოგადოების ხისტი დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ მთელი საინფორმაციო და კულტურული სივრცის 90% მონოპოლიზებულია ნორმალური, ჯანსაღი ცხოვრების წესის მოწინააღმდეგე პროპაგანდისტი არსებების მხრიდან. იმ არსებების მხრიდან, რომლებიც ცხვირში გვჩრიან ყოვლად უგემოვნო, მარაზმატულ „ნაწარმოებებს“ და თავიანთი მერკანტილური და საზიზღარი მიზნების მისაღწევად ყველა მეთოდს იყენებენ.

ისინი წახალისებულნი არიან სახელმწიფოს მხრიდან, აქვთ მაქსიმალური ხელშეწყობა თავიანთი მიუღებელი აზრების გავრცელებიდან დაწყებული, ნორმალური და საყოველთაოდ მიღებული პროდუქტის შექმნისადმი ხელის შეშლით დამთავრებული.

ძალიან მოკლედ ვიტყვი — არ ხდება არც ერთი ისტორიული, თუ ღირსეული ცხოვრების ამსახველი ფილმების დაფინანსება, არ ხდება კარგი ლიტერატურული ნაწარმოებების გავრცელების ხელშეწყობა დ. ა. შ.

„თუკი ჩვენს დღევანდელობას შუა საუკუნეებს შევადარებთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ჩვენს დროში ხომ იდეური შემოქმედების ნასახიც არ შეინიშნება. ამ მხრივ ჩვენი შეუწყნარებელი ეპოქა საოცრად უნიჭოდ და მდარედ გამოიყურება. ჩამკვდარია შემოქმედებითი აზრი.“

ნიკოლაი ბერდიაევის ეს შეფასება, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშია დაწერილი და საოცრად შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც დღევანდელ საქართველოშია გამეფებული.

რამ გამოიწვია ასეთი ვითარება?

უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ „უგემოვნობის ზეიმია“ ჩვენს ქვეყანაში.

უგემოვნობის და უნიჭობის.

ამ „ზეიმის“ მთავარი მიზეზი შეფასების კრიტერიუმის ყველაზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვარდნაა. აგრესიული ლიბერალების მიერ დამყარებული რეჟიმი, პირველ რიგში, საზოგადოების სწორედ იმ ნაწილს დაუპირისპირდა, ვისაც ნორმალური შეფასების უნარი აქვს და თავისი პიარ-საშუალებებით, ის ხალხი „გააცნობადა“, ვინც გემოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

ამან გამოიწვია საქართველოში ახალი, საოცარი კასტის გაჩენა, რომელსაც პირობითად „ნუვოინტელიგენცია“ შეიძლება ვუწოდოთ.

ეს „ნუვოინტელიგენტები“, თავისუფლად შეიძლება შევადაროთ გასული საუკუნის 20-იანი წლების „კომკავშირული კულტურის მედროშეებს“, რომელთათვისაც მიუღებელი იყო რევოლუციამდე შექმნილი ნებისმიერი შედევრი.

საქართველოში გაჩენილი ეს ახალი „კასტა“ არც „არისტოკრატია“ და არც „ინტელიგენტი“.

სწორედ ამიტომ დავარქვი მას „ნუვოინტელიგენცია“, რომლის ბოგინიც ზუსტად არსებული რეჟიმის დამთავრების დღეს შეწყდება.

არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ხალხში პოპულარობის ხარისხს ტელევიზორში გამოჩენის რაოდენობა არ განსაზღვრავს, თუნდაც იმ მარტივი მაგალითიდან გამომდინარე, რომ დოსტოევსკი ერთხელაც არ მჯდარა ტელეკამერის წინ. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ, იპოვონ უამრავი ისტორიული მაგალითი იმ მმართველებზე, რომლებიც მერკანტილური ინტერესებით გაჩენილი „ფსევდოინტელიგენტების“ ხოტბით იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი, რომ ძალიან სავალალო შედეგებით დაასრულეს თავიანთი მმართველობა.

არ შევუდგები ძალიან ღრმა წიაღსვლებს არსებული ვითარებისთვის კონკრეტული სახელის მოსაძებნად. არ შევუდგები, რადგანაც იმას, რაც დღეს ხდება, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი „კულტურული რევოლუცია“ ეწოდება, ხოლო დღევანდელ საქართველოში — „კულტურული რევოლუციის მცდელობა“.

დიახ, სწორედაც, რომ „კულტურული რევოლუცია“, რადგანაც ის ძალიან ჰგავს მსგავს „რევოლუციებს“. იმ რევოლუციებს, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში ხდებოდა. ჰგავს იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელსაც უნიჭო მომღერალი ნერონი „აკეთებდა“ ძველ რომში (სხვადასხვა პოლიტიკური, თუ სასცენო სპექტაკლებით დაწყებული, ძველი რომის გადაწვით დამთავრებული);

ჰგავს საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდს;

ჰგავს იმ „მწარე ბოლშევიკების“ „კულტურულ რევოლუციას“, რომლებიც მოსკოვი-ლენინგრადის რკინიგზის აყრას და ხელახლა დაგებას აპირებდნენ, რადგანაც ის მეფის დაგებული იყო. და განსაკუთრებით ჰგავს იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1966 წელს მათმა დიდმა ბელადმა მაო ძე დუნმა დაიწყო და რომელიც 1976 წლამდე გაგრძელდა.

და რატომ „კულტურული რევოლუციის მცდელობა“?

იმიტომ რომ სუფთა „ქართული“ სიტუაციაა — ტიპებს პედერასტები „არ ევასებათ“, მაგრამ არც ის უნდათ, „ბნელებად“ დაფიქსირდნენ და ცდილობენ თავიანთი პოზიციის „ლაითად შეფუთვას“, რაც, ფაქტობრივად, არ გამოსდით.

ნუ გეშინიათ ხალხო, არც ამ ფილმის ნახვით წაგერთმევათ ქართველობა და არც იმის თქმის შემდეგ, რომ ეს ფილმი მდარე ხარისხისაა, არის მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდა, ვიღაცებისთვის ფულის შოვნის ერთ-ერთი მეთოდი და თავის გამოჩენის გზა, ვასაძე ნამდვილად არ მოგაჩეჩებთ კომბალს.

ნამეტნავად მიკვირს, ამ „ლიბერასტებს“ მიტმასნილი ხალხი „პაგალოვნად“ იდიოტები როგორ არიან?

იხ. 7 გვ.

დაიბარეთ გამოკითხვაზე რეჟისორი

ყოფილი **დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს, ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ რეჟისორი ლევან აკინი გამოკითხვაზე დაიბაროს. ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ფილმში მცირეწლოვანი ბავშვები მოტყუებით გადაიღეს.**

მისივე განმარტებით, მშობლები ფილმის რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის დასჯას ითხოვენ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები უნდა დაიწყოს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მისამართით გავაკეთებ განცხადებას, თუკი ლევან აკინი იმყოფება საქართველოში, ყველა პრევენციული ზომა იქნას მიღებული, რომ ამ ადამიანმა არ დატოვოს საქართველო, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ყველა კითხვას გასცეს პასუხი, რომელიც არასრულწლოვანი ბავშვების მშობლებს აქვთ. ეპიზოდური კადრების მოპოვება მოტყუების გზით განხორციელდა. შემოქმედებითი ჯგუფი სსკ-ის 143-ე პრიმა, ტრეფიკინგის მუხლით უნდა გასამართლდეს. ბავშვებს სჭირდებათ ფსიქოლოგების დახმარება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მათ იცეკვეს, ახლა დაიწყება მთავარი სამართლებრივი პროცესები. ყველა პირი, რომელსაც ამხელენ მშობლები ამ ტყუილის ინსპირაციაში, უნდა იყვნენ დაკითხულები და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებები უნდა იყოს უზრუნველყოფილი“, — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

პროვოკატორებმა დრო იხელთეს...

კინოთეატრებთან განვითარებული მოვლენები შეაფასა „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარემ. გურამ ფალავანდიშვილი ამბობს, რომ აქციაზე ისინი მშვიდობით მივიდნენ, თუმცა მათ გარშემო პროვოკატორები იმყოფებოდნენ. ფალავანდიშვილი სრულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს.



„ჩვენ ყველა გავაფრთხილეთ, რომ არავის არაფერი გამოეყენებინა, თუმცა კაცს ჯიბეში რა უდევს, ეს არავინ იცის. შეიძლება პროვოკატორები იყვნენ, შეიძლება ვინმემ გვიყურა და გაბრაზებული ადმიანი იყო. რადგან ასეთი ვითარება გამოჩნდა, რომ ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით, მიწოლა შევწყვიტეთ. ჩვენ შევიდოდით მხოლოდ მაშინ, თუ შევიდოდით ქრისტიანულად. პოლიციამ აქციის მონაწილეებზე იძალადა. კიდევ კარგი ვერ შევაღწიეთ“, — განაცხადა ფალავანდიშვილმა.

ავყიოობა, სიცრუე, ამპარტავნობა...



ბოლო დღეების მოვლენებმა შეატორტმანა ჩვენი ძვეყანა, ლამის თავზარი დასცა ადამიანებს, მათი გულები შფოთვით აღავსო, ამასთან ერთად, იმედიც გაუჩინა.

მეუფე იაკობის სრულიად მოულოდნელმა და უხამსმა გამოსვლამ ერის და ბერის მოთმინება უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა, დააჩქარა ეკლესიის განწმენდის დასაწყისი.

სიტყვა „უხამსი“ შემთხვევით არ მითქვამს. მეუფემ აშკარად გამოხატა თავისი უკმაყოფილება პატრიარქის თანამოსაყდრედ მეუფე შიოს დანიშვნის გამო, თანაც არაერთხელ ახსენა თავისი დიდი შესაძლებლობები და ამით გაამართლა შეხვედრა პრემიერთან და მაღალი თანამდებობის სხვა პირებთან, საიდუმლო სერობა, „ჩალიჩი“, თითქოსდა პატრიარქის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა სასულიერო პირისთვის მიუღებელი ქადილი: „უნდოდათ, პატრიარქი მოეკლათ, მაგრამ მე ამას არ დავუშვებ“, „ყველას ჩავარტყამ, სადაც ჩასარტყმელია“, „ჭკვიანად თუ არ იქნებიან, ყველას გადავუვლი“ და ა. შ.

როგორც ჩანს, მეუფე იაკობს მართლაც ჰქონდა უმაღლესი სასულიერო იერარქის კვერთხის დაჭერის იმედი, დარწმუნებული იყო თავის უპირატესობაში, მაგრამ ეს სურვილი მისი აზროვნების ილუზია აღმოჩნდა. სწორედ ამან გააბოროტა იგი.

მეუფემ თავის გამოსვლაში ეკლესიის მსახურისთვის შეუფერებელი სამი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა:

ავყიაობა;
სიცრუე;
ამპარტავნობა.

მართალია, მოინანია თავისი საქციელი და ამიერიდან ამ საქმის ქექვა მიზანშეუწონელია, არავინ აპირებს მის მოკვეთას საზოგადოებისა და საეკლესიო სამსახურისგან, მაგრამ მან, როგორც სასულიერო პირმა, კარგად უნდა გააცნობიეროს საკუთარი შეცდომა.

ღმერთმა დაგვიფაროს, დავარღვიოთ დიდი სჯულის კანონი და სასულიერო პირს საჯაროდ, დაუსაბუთებლად დავდოთ ბრალი. ასეთი ქცევა ამპარტავნობაზე უფრო შორს მიდის და იგი დასაგმობია.

მონანიება კარგია, თუ მას სინანულის გრძნობა გააჩნია და გულწრფელია, ამას დავიჯერებთ, თუ მეუფე იაკობი თავის საქციელს იმავე გზებით და საშუალებებით უარყოფს. იგი უნდა გამოვიდეს ტელეარხებით და თქვას სიმართლე, რომ პატრიარქის წინააღმდეგ არავითარი შეთქმულება არ არის და ბოდიში მოუხადოს „საიდუმლო სერობაში“ მონაწილე მის მიერ დასახელებულ პიროვნებებს. თუ სიმართლე ბრძანა, ჩაიცვას რკინის ქალამნები და ბოლომდე იბრძოლოს თავისი ნათქვამის დასადასტურებლად.

წმინდა სინოდმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინა, როცა მეუფე იაკობს გაფრთხილება აკმარა, ალბათ პატრიარქის კეთილი გულით, ეპისკოპოსის საქმიანობის შესრულების ნება დართო.

არაკეთილმოსურნეებს ხელს არ აძლევთ პატრიარქის მიმტევებლობა, სულგრძელობა და მოვლენების მოწესრიგება. ამით ისინი კიდევ უფრო მძაფრდებიან, მეტ აგრესიულობას ავლენენ. ესეც სასიკეთოდ უნდა გამოიყენონ ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა.

* * *

განვაგრძობ ჩემს წუხილს და კეთილმოსურნე შენიშვნებს მეუფის საქციელის გამო; მსურს, მოყვასს პირში ვუძრახო, ვიდრე ბოლმა ჩავიდო გულში და ნიადაგ ვინმეს სიძულვილი ვატარო.

მე, როგორც მართლმადიდებელი მრევლის რიგით წევრს, მაინტერესებს, ყველასთვის მიუღებელი საშინელი ლექსიკით საჯაროდ გამოსულმა მღვდელმთავარმა, როგორ უნდა ჩახედოს თვალებში თავის სულიერ შვილებს, გულწრფელად ვინ უნდა ემთხვიოს მის ხელსა და კალთას, არ ფიქრობს, ან საკუთარ გულში არ იხედება მეუფე იაკობი, რომ თავად აღარ არის ღირსი იმავე მრევლთან მღვდელმსახურებისა, რატომ არ მოითხოვს რაიმე სხვა განაწესს, სხვაგან და სხვა ადამიანებთან სამსახურს? თუმცა მისმა თვითაღიარებამ ჩვენც თვალები აგვიხილა და ამას ერთგვარი შედეგებიც მოჰყვა.

* * *

„სარგებელი“ მეუფე პეტრეს ქცევებითაც მივიღეთ. მან მისდაუნებურად და არაორაზროვნად ნიღაბი ბოლომდე ჩამოიხადა და იმ ძალების სახეც გამოაჩინა, რომლებიც უხეშად, ბინძური მეთოდებით ცდილობენ ერის ყველაზე სანუკვარ ღირებულებას, ამ შემთხვევაში ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს, მიაყენონ მძიმე დარტყმა, ამით კი შიგნიდან ისედაც აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობას ცეცხლი შეუნთონ, ერი გახლიჩონ, დათესონ ბოღმა და სიძულვილი და ხელისუფლების სათავეში თავად წამოსკუპდნენ.

მეუფე პეტრე დესტრუქციულმა ძალებმა ერთ-ერთ იარაღად რომ გამოიყენეს, ამას ბევრი კვლევა-ძიება არ სჭირდება. იგი ბოლო წლებში, ვითარცა პოლიტიკოსი, ახმოვანებდა მათს სურვილს, მიზნებსა და ამოცანებს.

წმინდა სინოდმა მას სამართლიანი განაჩენი გამოუტანა, თუმცა ყოფილი მეუფე აწ უკვე მონასტრის მომავალი მკვიდრი, არ ემორჩილება წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას, კვლავ ჩვეული აგრესიით გამოდის ეთერში და განაგრძობს მუქარას და თავდასხმებს, რაშიც ხელს უწყობენ ტელეარხები. ამით კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ მის უკან დგას ეკლესიისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართული საკმაოდ ძლიერი ძალა.

* * *

ორი მღვდელმთავრის გამოსვლით და თვითაღიარებით ნაწილობრივ გამოიკვეთა ტყუილ-მართალი დეკანოზ გიორგი მამალაძის შესახებ.

ფართო საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირთა შორისაც ბატონობდა აზრი, რომ მომავალში პატრიარქის ტახტს დაიკავებდა მისი ძმისშვილი, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი.

ბათუმში 35 წლის წინათ ჩამოსვლის დღიდან მთელი აჭარა და მეც მას კარგად ვიცნობთ, იგი ჩემი აწ განსვენებული მეუღლის ნათლიაა, მან დაგვწერა ჯვარი, ამ ხნის მანძილზე, საჭიროების დროს ძალიან ხშირად ვხვდებით, მისგან მრავალ რჩევას ვღებულობ, თავადაც მიხმობს და ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს მოსაზრებებს. ამიტომ ჩემთვის კარგადაა ცნობილი მისი განწყობილება. არაერთხელ უთქვამს კიდეც, რომ მისი პატრიარქად აღსაყდრება გამორიცხულია, თუნდაც ილია მეორესთან ნათესაური სიახლოვის გამო.

ასეთი განაცხადის მიუხედავად, ეტყობა, უმაღლესი იერარქიის მოსურნეებს მაინც ჰქონდათ ეჭვი და მიტროპოლიტ დიმიტრის პიროვნებაში ხედავდნენ მეტოქეს. ამაზე მეტყველებს რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ცნობა, რომელმაც აუწყა საზოგადოებას, რომ „ჩვენ ივანიშვილის და შიოლაშვილის რეჟიმი გვეგრძვის“-ო (დავით ბერძენიშვილი). ბუნებრივია, შიოლაშვილის რეჟიმში მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილიც იგულისხმება. საჭიროდ ჩათვალეს მისი გზიდან ჩამოშორება (ამაში დ. ბერძენიშვილს ვერ დავადანაშაულებ), რისთვისაც შეაკოწიწეს ე.წ. ციანიდის საქმე და მასში ჩართეს მიტროპოლიტთან საკმაოდ დაახლოებული და მისი ლოცვა-კურთხევით დაწინაურებული ახალგაზრდა დეკანოზი გიორგი მამალაძე. თუმცა არც ეს ჩათვალეს საკმარისად და ამ ბინძური საქმის თანამონაწილედ საზოგადოებას დაუსახელეს მიტროპოლიტ დიმიტრის სიძე. ამის ჩამდენნი იმდენად ძლიერნი აღმოჩნდნენ, რომ მათ მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს: დეკანოზი გიორგი სატუსაღოშია, სოსო ოხანაშვილს დანაშაული არ დაუდასტურდა, მაგრამ საპატრიარქოს სამსახურს ჩამოშორდა და ქვეყანა დატოვა.

ამ მოვლენებიდან გასული სამი წლის შემდეგაც საზოგადოება ბოლომდე ვერ დარწმუნდა დეკანოზ გიორგის ბრალეულობაში, ზოგი თვლის, რომ იგი უდანაშაულო და ქართულ ეკლესიაში შექმნილი წაჯექ-უკუჯექობის მსხვერპლია. იგი ვიღაცამ დააყენა დანაშაულის გზაზე. თუმცა დეკანოზი არავის გაუმართლებია და არც უთქვამს, რომ არ იყო გარეული პატრიარქის წინააღმდეგ მოწყობილ ბინძურ შეთქმულებაში. მას ჩამორთმეული აქვს მღვდელმსახურების უფლება, ამიტომ, ჩემი აზრით, მისი სატუსაღოში დატოვება აღარც ღირს. თუ შეიწყალეს და გამოვიდა, ანაფორას ვეღარასდროს ჩაიცვამს.

თუ გ. მამალაძე მართალია, ვის კისერზეა სასულიერო პირის ცოდვა? ისევ და ისევ იმ ძალების, ვინც არად დაგიდევს ქვეყანაში სიმშვიდეს, სიყვარულს და ურთიერთპატივისცემას. ოღონდაც ხალხი ერთმანეთს დაერიოს, ქვეყანაში დაისადგუროს სიძულვილმა, დაეცეს ეკლესიისა და ხელისუფლების ავტორიტეტი.

წმინდა სინოდმა კიდევ ერთხელ გამოხატა კეთილი ნება და იშუამდგომლა პრეზიდენტის წინაშე გიორგი მამალაძის შეწყალების თაობაზე. ალბათ, მხედველობაში მიიღეს მისი დასჯიდან გასული საკმაო დრო, რომელმაც მასაც და ყველა სასულიერო პირსაც ჭკუა უნდა ასწავლოს.

* * *

მოვლენები განვითარდა ისე, როგორც ველოდით. ქართული ეკლესიის გარემოცვაში განვითარებული უმძიმესი და ერის მთლიანობის დამანგრეველი ბოროტების სულისჩამდგმელებმა იგრძნეს ქვეყნისა და ხალხის სულიერების წინსვლა. რაც უფრო გაგრძელდება სიკეთისკენ მიმავალი პროცესი, მით უფრო გაბოროტდებიან, გამოაჩენენ თავის სახეს და ბრჭყალებს, საზოგადოებაც უკეთ გაიგებს, ვინაა მისი მტერმოყვარე, საპატრიარქოს და მის საჭეთმპყრობელსაც კიდევ უფრო მოუმრავლდება მხარდამჭერები; დაიწყება განწმენდა – კათარზისი, გაძლიერდება კავშირურთიერთობა ერსა და ბერს შორის. ქართული ეკლესია მოიშორებს უღირს და მის რიგებში შეპარულ სასულიერო პირებს (თუმცა ეს ძალზე ფრთხილად და ლმობიერად კეთდება).

ეკლესიის განწმენდა საზოგადოების გაჯანსაღებასაც ნიშნავს, ეს კი საბოლოოდ ერის და ბერის ერთ მამულიშვილურ იარაღად შეკვრის საწინდარია.

ერთი რამ ცხადია. ჩვენს ეკლესიას ძირფესვიანად გარდაქმნა სჭირდება. მორჩილიდან მღვდელმთავრამდე, რა თანამდებობაზეც არ შეარჩევენ ადამიანს, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდნენ, რომ არ აჰყვება ადამიანურ სისუსტეებს, პირად კეთილდღეობას არ დააყენებს თავისი მრევლის სამსახურზე მაღლა, არ მოითხოვს დიდ ანაზღაურებას და ლიმუზინს, არ ჩაერევა პოლიტიკურ ჭიდილში, ე.ი. იქნება მხოლოდ სასულიერო პირი, რომლის ქცევის ნორმები და ვალდებულებები წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ისედაცაა განსაზღვრული.

არაკეთილმოსურნეთა მიზანი ეკლესიასთან ხელისუფლების დაპირისპირებაცაა. არავინ, მათ შორის უმაღლესმა საჯარო მოხელემ თავს ნება არ უნდა მისცეს, ჩაერიოს ეკლესიის საქმეში, ისევე როგორც სასულიერო პირს არ ეკადრება პოლიტიკასა და სახელმწიფო მმართველობაში აქტიურობა.

ამგვარად, ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელია ხელისუფლების, სულიერების და ეროვნული, მამულიშვილური გრძნობების ერთიანობა. ასეთ ხალხს ვერც ერთი ძალა ვერ დაამარცხებს.

დარწმუნებული ვარ, დადებითი პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც დიდად შეუწყობს ხელს ვნებათაღელვის ჩაცხრობას და ქვეყნის გაძლიერებას.

რამაზ სურმანიძე,
მწერალი, ბათუმი.

საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანი სკანდალურობა და დესტაბილიზაციაა

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ მეუფე იაკობის განცხადებაზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანი სკანდალურობა და დესტაბილიზაციაა.

ჟურნალისტებთან საუბარში ვოლსკი აღნიშნავს, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ დაუჭერს.

„ნაციონალური მოძრაობა“ ნებისმიერ ინიციატივას თავის პოლიტიკურ მიზანს უკავშირებს. რასაკვირველია, საეკლესიო პირების დაბარება და პატრიარქის მოწვევა არის მთავარი მიზანი, რისთვისაც კომისია სჭირდებათ. სკანდალურობა და დესტაბილიზაცია, ეს არის მთავარი ლოზუნგი, რასაც ე.წ. ოპონენტთა ჯგუფი ემსახურება. ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, დღეში ათი სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას, იმდენად ინტენსიურია განცხადებები, რომლებიც სკანდალზეა ორიენტირებული“, – განაცხადა ვოლსკიმ.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი ბიუროს სხდომას გუშინ წარუდგინეს.

ქართველი ერის არჩევანი ბ-ნი ხახაშვილის სამსჯავროზე

— ვთქვათ და, არ გეპატიებინა, ნეტა, რას იზამდი?!

— გააჩნია, რას შემომთავაზებდით, ბატონო.

— დუელი რომ შემომეთავაზებინა?

— არ მივიღებდი გამოწვევას. უსინდისობა იქნებოდა ჩემგან ის.

— ვითომ, რათაო?

— იმიტომ, რომ დიდი უპირატესობა მაქვს ძალიან.

ჭაბუა ამირეჯიბი,
„დათა თუთაშხია“

დათა თუთაშხიასა და ვახტანგ შალითურს შორის გამართული ეს დიალოგი უნებურად გამახსენდა, როცა ომარ ხახაშვილის წერილი: „ნოეს გზით თუ ილიას გზით“ — წავიკითხე. ალბათ, წერილის ავტორს არც ვუპასუხებდი, რომ არა **ანდრეი ეპიფანცევის** პასკვილი, რომელშიც განქიქებული იყო საქართველოს ბოლო საუკუნეების ისტორია და ერეკლე II. საქმე ისაა, რომ ო. ხახაშვილი ანდრეი ეპიფანცევის დამცველად მოგვევლინა და მის მიერ წამოყენებულ ყოვლად დაუსაბუთებელ და უმართებულო **დასკვნებს ჭეშმარიტებად აღიარებს.**

ეს რომ არა, ვიმეორებ, ო. ხახაშვილს აღარც ვუპასუხებდი, რადგან მსგავსი პათოსით გაჟღენთილი წერილები საქართველოში ამ ბოლო 20-25 წლის განმავლობაში მრავლად დაიბეჭდა და ამდენად, უკვე აღარავის უკვირს. მე მხოლოდ იმან გამაკვირვა, რომ ო. ხახაშვილი დამცველად და პოპულარიზატორად მოევლინა ანდრეი ეპიფანცევს, რომლის შეხედულებათა კრიტიკას მე ვრცელი წერილი მივუძღვენი. აი, სწორედ ამიტომ დავარღვიე ის ჭეშმარიტად მისაბაძი წესი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი ადამიანი, თუ პოლემიკაში ებმება. ახლა, რადგან ეს წესი დავარღვიე და ო. ხახაშვილს წერილითაც გამოვეხმაურე („საქართველოს რესპუბლიკა“, 23.10.2019), მეორედაც უნდა ვუპასუხო და ჩემი აზრი გამოვთქვა მის მიერ გამოქვეყნებული წერილის შესახებ **„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 6.11.2019)**. ცხადია, მიხვდით, ამ ქარაგმულ ნათქვამში რაც იგულისხმება, მაგრამ მაინც განვმარტავ: „ძველი გზა“ საბჭოთა კავშირში ყოფნას ნიშნავს, „ძველი მეგობარი — რუსეთს“.

ამ მეორე წერილით მე პოლემიკას ვასრულებ და მინდა, სრულიად გარკვევით განვაცხადო: მესამე პასუხი აღარ იქნება და თუ რატომ, ეს წერილის ეპიგრაფად მოყვანილი დიალოგიდან იგრძნოს ჩემმა ოპონენტმა.

ომარ ხახაშვილს საქართველოს ისტორიის ცოდნა აშკარად ღალატობს, ამიტომ კონკრეტიკას ერიდება, მსჯელობს ზოგადად და თავს გვაწონებს დიდი მოაზროვნის ჰეგელის და სხვათა გამონათქვამებით. პირადად ო. ხახაშვილის შეხედულებებს რომ გავეცანი, ისევ უნებურად ჩვენი ისტორიის ავადსახსენებელი პერიოდიდან უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი ისტორიკოსების, ფილოლოგების, მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ბიოლოგების, მედიკოსებისა და სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოდ დაკანონებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“ და „მეცნიერული კომუნიზმი“ გამახსენდა. ასევე გამახსენდა სხვადასხვა ავტორის მიერ გამოცემული „სსრკ ისტორია. სოციალიზმის ეპოქა“. დამენანა, რომ ამ სამ სახელმძღვანელოში მოცემული დებულებები ო. ხახაშვილს დღესაც ჭეშმარიტებად მიაჩნია.

ო. ხახაშვილის წერილის რამდენიმე ვრცელი აბზაცი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ავტორის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა და მისი უშუალო შედეგი — საბჭოთა საქართველოს აღსასრული — გეოპოლიტიკურ კატასტროფას წარმოადგენდა, რამაც განაპირობა ყველა უბედურება, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, მომხდარა. არც ეს დებულებაა ახალი და იქნებ პასუხის გაცემაც არ ღირდეს, მაგრამ მაინც მსურს, მოკლედ ვუპასუხო. ბატონო ომარ, გეოპოლიტიკურ კატასტროფას წარმოადგენდა ბოლშევიკების მიერ 1917 წელს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ძალაუფლების ხელში ჩაგდება და უკვე ევროპის ნაწილად ქცეული რუსეთის სლავურ სამყაროში დაბრუნება, საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო ეკონომიკით შეცვლა, ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, რევოლუციის სახელით ისტორიაში მანამდე არნახული ხოცვა-ჟლეტის დაწყება, თავისუფლებას მოწყურებული ერების ახალ საბჭოთა იმპერიაში შერეკვა. ყოველივე ეს უბედურება ქართველ ერს 1921 წლიდან ეწია, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო.

ამ უბედურებას გადაურჩა ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი. ბატონო ომარ, ხშირად იწერება, რომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საქართველოზე ბევრად წინ არიან და ამას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან, მიზეზი კი ერთია: **ეს სახელმწიფოები 1917 წლიდან 1940 წლამდე, სანამ საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებს დაიპყრობდა, დამოუკიდებელ, ევროპული ორიენტაციის ქვეყნებს წარმოადგენდნენ. ამ ოცწლეულის მანძილზე ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ევროპული სამყაროს ნაწილად იქცნენ როგორც პოლიტიკური ცხოვრებით, ისე ეკონომიკური და სოციალური სისტემით. ამასთან ერთად, ამ ქვეყნებში დაიწყო სახელმწიფოებრივი აზროვნების აღორძინება და აღიზარდა პოლიტიკოსთა და, საერთოდ, სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი თაობა. აი, ყოველივე ამით იყო წინ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.**

1921 წლიდან საქართველოში სრულიად საპირისპირო პროცესი დაიწყო: ჩვენი სამშობლო იქცა ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განუყოფელ ნაწილად. მოსკოვის პოლიტიკურმა ლიდერებმა, **იმის გამო, რომ „საქართველო გათავხედდა“ და 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, ჩვენი სამშობლო დასაჯეს და ფორმალური სახელმწიფებრიობაც კი წაართვეს — 1922 წელს ჯერ ყოვლად გაუგებარ და უფუნქციო ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო შემდეგ, საბჭოთა კავშირში გააერთიანეს. ფორმალური სახელმწიფებრიობა საქართველომ 1936 წელს დაიბრუნა, მას შემდეგ, რაც თავისუფლების სიყვარულისათვის სასჯელი მოიხადა.**

ომარ ხახაშვილი წერს, რომ საქართველოში, საბჭოთა წყობილების ლიკვიდაციის შემდეგ (ავტორის სიტყვებით: **„ძველი ნაცადი გზის დაკარგვის შემდეგ“**) საქართველოს ბევრი უბედურება ეწია. ბატონო ომარ, ამის მიზეზი საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოში საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ნგრევა კი არ არის, არამედ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და 70 წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის შემადგენლობაში ყოფნა, მისი ცხოვრებით ცხოვრება. ო. ხახაშვილი იმავე საკითხს უბრუნდება და წერს: **„ისმის კითხვა: რამ მიიყვანა სოფლის მეურნეობით აყვავებული და მძიმე თუ მსუბუქი ინდუსტრიით აშენებული გუშინდელი საქართველოს სსრ ამ სავალალო მდგომარეობამდე? ჩემი ფიქრით, ძველი გზისა და ძველი მეგობრის (წაიკითხე: რუსეთის! — ვ. ბ.) დაკარგვამ და ახალი გზისა და ახალი მეგობრის ძიებამ“**. ამ კითხვაზეც პასუხი იგივეა: თავი და თავი მიზეზი ისევ 1921 წელს მომხდარ კატასტროფაშია, როცა საბჭოთა რუსეთმა ევროპული განვითარების გზა დაგვიხშო და საბჭოთა სამყაროში ამოგვაყოფინა თავი. და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო დეტალი: თუ მოსკოვი საქართველოში სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის განვითარებაზე ზრუნავდა, ამას ქართველი ერის საკეთილდღეოდ არ აკეთებდა, შექმნილი პროდუქციის უმეტეს ნაწილს ისევ რუსეთი მოიხმარდა. რაც შეეხება მსუბუქ ინდუსტრიას, მე ამ **ინდუსტრიულ საწარმოებში** შექმნილი პროდუქციით კმაყოფილი არავინ მინახავს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მოსახლეობა მუდამდღე ევროპიდან იმპორტირებული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ძებნაში იყო, ქართული პროდუქცია მაღაზიის დახლებზე „იწონებდა თავს“, დიდი ნაწილი კი საწყობებში ლპებოდა.

გზადაგზა ო. ხახაშვილი საქართველოს ძველი და დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკით ირთობს თავს და ვერ გრძნობს, რომ მთავარ სათქმელს ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს, მეჩვენება, რომ შეიძლება წერილის ავტორს ამგვარი პოზიცია იმისთვის სჭირდება, რომ ობიექტური შემფასებლის მანტია მოირგოს.

წინა წერილში მე განგებ მოვერიდე, ჩემი აზრი გამომეთქვა ზოგადად ნოე ჟორდანიას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კრიტიკოსთა მიმართ, რაც სავსებით ეხება ო. ხახაშვილსაც. 1921 წლიდან, უფრო ზუსტად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, დაიწყო ნოე ჟორდანიასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აღვირახსნილი კრიტიკა. **ტონის მიმცემი მოსკოველი იდეოლოგები იყვნენ, რომელთაგან ერთ-ერთი წერდა, 1918 წელს მთავრობის რეზიდენციაზე საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვა სამარცხვინო მოვლენა იყოო**. ნოე ჟორდანიას კრიტიკით გართული იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, ასევე საბჭოთა საქართველოს სხვა პოლიტიკური ლიდერები. **სრულიად მოულოდნელად XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დაწყებულ ნოე ჟორდანიას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განქიქების მცდელობის ახალ ეტაპზე გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებში, ნებსით თუ უნებლიეთ, უხვად აისახა სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის ნაცოდვილარი.** მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთმა ავტორმა არც კი იცოდა, თუ ვის იდეოლოგიურ სალაროში აფათურებდა ხელს, მაგრამ **ფაქტი ფაქტად რჩება: აშკარა იყო ქართველ ბოლშევიკთა ლიდერების პასკვილების რეანიმაცია.** საკვირველი იყო კიდევ ერთი რამ: ნოე ჟორდანიას და საქართველოს მთავრობას მართლაც ჰქონდათ შეცდომები, მაგრამ ამ შეცდომების გააზრება და შეფასება დიდ დროსა და ენერგიას ითხოვდა, ეს კი პროფესიონალთა საქმე იყო და არა — კონკრეტული მიზნით დაინტერესებული დილეტანტებისა. იგივე მდგომარეობაა დღესაც. მე კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო ნოე ჟორდანიას კრიტიკოსებს: **წაიკითხეთ რუსი და ქართველი ბოლშევიკების ნაწერები, მათ მიერ წარმოდგენილი ნოე ჟორდანიასა და, საერთოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უსუსური კრიტიკა და იქნებ თქვენს მომავალ საპოლემიკო წერილებში ზოგიერთ რაიმეზე მაინც თქვათ უარი.**

ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირებას, რომლითაც არცთუ ისე მოხერხებულად მანიპულირებს ო. ხახაშვილი, დღეს უკვე ყავლი გაუვიდა, ისევე, როგორც გაუვიდა ყავლი ილია ჭავჭავაძის რუსოფილად გამოცხადებას. ო. ხახაშვილს ორიგინალური მოსაზრება ჰქონია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ გამოთქმულ ეროვნული თავისუფლების იდეაზე. ავტორი წერს: **„რაც შეეხება ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნებას, ეს სიტყვები პერსონაჟს ეკუთვნის და არა ავტორს“. ამას კი აღარ ველოდი! ბატონო ომარ, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მიერ გამოთქმული უკვდავი აფორიზმები შოთა რუსთაველს არ ეკუთვნის?! წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“, თქვენი აზრით, მორალს ცხოველები გვიკითხავენ თუ სულხან-საბა ორბელიანი?! სკოლის მოსწავლეებმა იციან, რომ თავისი სანუკვარი ოცნება ილიამ ლელთ ღუნიას პირით გვითხრა.**

დროდადრო ბატონი ომარი კვლავ გვაკვირვებს თავისი „მარგალიტებით“. აი, ერთი მათგანი: **„XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და ბრწყინვალე ოფიცრობის ამოჟლეტა სამწუხარო ფაქტია, მაგრამ იგი რევოლუციის შედეგი იყო და არა საქართველოს სსრ-ის შედეგი“**. ნუთუ ძნელი მისახვედრია ორი რამ: ჯერ ერთი, საქართველოს უბედურება 1917 წლის 25 ოქტომბრიდან დაიწყო, როცა ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების გზით ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და რასაც რევოლუციას თვით იოსებ სტალინიც არ უწოდებდა, ამ მოვლენას იგი „ოქტომბრის გადატრიალებად“ იხსენიებდა; მეორეც, დავუშვათ, მე დავეთანხმე ო. ხახაშვილს იმაში, რომ 1917 წლის 25 ოქტომბერს რევოლუცია მოხდა, მაგრამ მაშინ ისიც უნდა დამეთანხმოს, რომ საქართველოს სსრ ამ რევოლუციის უკანონო შვილი იყო და იმ რეჟიმის უცოდველად წარმოდგენა დიდი ცოდვაა.

ბატონი ო. ხახაშვილი მეთანხმება იმაში, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლების რეპრესიების შედეგად ბევრი ბავშვი უდედმამოდ დარჩა და მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ გაიზარდა. შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ბავშვები სტალინმა იხსნა, როდესაც განაცხადა: „შვილი მამის დანაშაულზე პასუხს არ აგებს!“ ნუთუ არ იცით, ბატონო ომარ, სანამ სტალინი ამას იტყოდა, ათიათასობით ბავშვმა უკვე აგო პასუხი მშობლების გამო, უფრო ზუსტად უდანაშაულო მშობლების გამო. რეპრესირებულთა შვილები უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხეს, სამსახური დაატოვებინეს და მათ გარშემო ისეთი მძიმე ფსიქოლოგიური ატმოსფერო შექმნეს, რომლის წარმოდგენა დღეს შეუძლებელია. გარდა ამისა, ბავშვები, რომელთაც მშობლების ქმედებაზე პასუხი არ აგეს, უდედმამო ბავშვთა სახლებში, ე.წ. „პრი-

ლამბადა ჯობდა...

(მეოთხე გვერდიდან)

წევს ახლა ის საცოდავი ანა სუბელიანი დანგრეული სახით და ის ლევან აკინი კი სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტს.

ზის ეს მუდმივად მარაზმატიკი დათო ბერძენიშვილი და იმედი აქვს, რომ დასავლეთიდან ვიღაც დარეკავს და დეპუტატი გახდება.

ტიპები უკანალის ჟიმჟიმით შედიან ფილმის ჩვენებაზე, დადიან რაღაც „აღლუმებზე“, მერე „ჟურნალისტებს“ რაღაც სისულელეებს ეუბნებიან და ეს ვითომ „უფლებადამცველები“ გრანტის სახით ჩარიცხულ მაყუთს ითვლიან და დედმამიშვილების სადღეგრძელოს სვამენ.

გამოდიან ე.წ. პოლიტიკოსები, რაღაცებს მიედ-მოედებიან, ცდილობენ, არც მწვადი დაწვან და არც შამფური, ანუ პედერასტობაც უტყდებათ და თან რაღაცის ეშინიათ, ამ დროს კი სახალხო დამცველი რაღაც არზას აშანშალებს და ქულებს იწერს ცრუ „დასავლურ სამყაროში“.

მოკლედ რომ ვთქვა, სულ რაღაც 20 ტიპისთვის მუშაობენ „ქართული“ მედია, „პოლიტიკური სპექტრი“ და „სამოქალაქო აქტივისტები“.

ისე, რა მოეთხოვება იმ მედიას, რომლის „ჟურნალიტებს“ კინომცოდნე კინოლოგი ჰგონიათ, ხოლო ანა სუბელიანის დაშავების შემდეგ იმედის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა განაცხადა „თვალის მიმდებარე ტერიტორია დაუზიანდაო“.

ცხადია, სოციალურ ქსელში ატყდა ერთი რუზრუზი და რია-რია.

თქვე კაი ხალხო, მადლობლები არ ხართ, რომ „თვალის ლოკაცია“ არ ახსენა? (ცხადია ეს ჩემი შეფასება ჰეშთეგით — დაინახე პოზიტივი უნდა დაიწეროს).

და კიდევ ერთი რამ: სახალხო დამცველი რატომ არ აპროტესტებს „გენდერული დისკრიმინაციის ამ ამაზრზენ ფაქტს“ — რატომ გადაიღეს პირველი ფილმი გეებზე და არა ლესბიანკებზე? ასევე მაინტერესებს, შევა თუ არა ჩაგვრის ეს აღმაშფოთებელი ფაქტი მის ყოველწლიურ ანგარიშში?

ეს ხომ სრული გამოდებილებაა იმ (აგრესიულ-ლიბერალურ) ფლანგზე.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჩემმა კოლეგამ დარეჯან მეფარიშვილმა სოციალურ ქსელში საკმაოდ საინტერესო პოსტი გამოაქვეყნა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„გასული საუკუნის 90-იან წლებში (1990 წლის თებერვალში), რუსეთის „გავლით“ საქართველოში შემოიტანეს და ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში აჩვენეს იაპონური ფილმი „გრძნობათა იმპერია“.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ბნელ და უკუნ პერიოდში, პურის რიგებში ქანცგაწყვეტილი ერი გმინავდა, ფილმის ჩვენებას დაესწრო 2000 ადამიანი.

მაყურებელთა ნაწილმა (მათ შორის უმეტესობა ქალები იყვნენ) დარბაზი მალევე დატოვა, ჩუმად, უხმაუროდ. ფილმის დასასრულს კი დარბაზში ვიღაცამ დაიღრიალა — „არ მოაჭრა, არ მოაჭრა!“, შეშინებულ მაყურებელს სხვებიც აყვნენ.

ეს იყო სულ...

ფილმი „გრძნობათა იმპერია“, როგორც კინოკრიტიკოსები ამბობენ, არის „ეროტიკული ტრაგედია“. ამ ფილმს უარყოფითად შეხვდნენ როგორც რუსეთში (ფილმის ჩვენებისას ვიღაცამ დაიყვირა „ჟიდომასონები რუსულ კულტურას უტევენ!“ ამას მოჰყვა ხელჩართული ბრძოლა და ჩვენება ჩაიშალა), ასევე ევროპის ბევრ ქვეყანაში. ფილმი პორნოგრაფიად გამოაცხადეს. კანის ფესტივალზე ფილმი კონკურსგარეშე აჩვენეს.

„გრძნობათა იმპერიის“ კრიტიკოსებმა ნაკლებად მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ფილმს 1936 წელს იაპონიაში მომხდარი ნამდვილი ამბავი დაედო საფუძვლად. მოახლე ქალმა სადამ, მორიგი სასიყვარულო პაემანის აპოგეაში მოკლა თავისი ბატონი, კასტრაცია გაუკეთა და მის სხეულზე სისხლიანი იეროგლიფები გამოიყვანა — „კიიტი და სადა — მარადიული სიყვარული“.

ფილმის გამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, საფრანგეთის კულტურის იმჟამინდელმა მინისტრმა ჟაკ ლანგმა წერილით მიმართა ხელისუფლებას, მოეხსნათ სურათისთვის „პორნოგრაფიული ფილმის“ იარლიყი და ჩვეულებრივ კინოთეატრებში ეჩვენებინათ. 1979 წელს, მსოფლიოს ასი კინოკრიტიკოსის გამოკითხვით, „გრძნობათა იმპერია“ ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ეროტიკულ ფილმად აღიარეს.

მე არ მინახავს ფილმი, რომლის გამოც გუშინ სრულიად პოლიცია კინოთეატრებთან იყო მობილიზებული და რომლის გამო ზოგს თავში ქვა მოხვდა, ზოგი დააკავეს, მაგრამ, როგორც გავრცელებული ინფორმაციებიდან მივხვდი, ფილმის პერსონაჟები ეროვნულ ტრადიციებს ეხებიან, თითქოს ერთნაირსქესიანი წყვილის ბედნიერების თუ ტრაგედიის გადმოცემა შეუძლებელი იყოს დახეული ჯინსებით, ეროვნული ღირებულებების შელახვის გარეშე, ქართული ცეკვის გვერდის ავლით...

არ ვიცი, ვინ რას აპროტესტებდა გუშინ, „იმნაირების იმას“ თუ „ამნაირების ამას“. მე ვიცი ერთი რამ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, როცა სრულიად ევროპა-ამერიკა უარყოფითად შეხვდა იაპონელი რეჟისორის ფილმს „გრძნობათა იმპერია“, როცა ამ ფილმის ჩვენებისას სხვადასხვა ქვეყანაში მაყურებელმა დარბაზები დალეწა, ქართველმა დაიყვირა — არ მოაჭრაااااა....

ჰო, ვიღაც გაურკვეველი წარმომავლობის რეჟისორის ფილმის შინაარსს კი არა, მე, მაგალითად, ქართული ტრადიციების დაცინვის მცდელობას ვაპროტესტებ, თორემ „იმნაირებიც“ და „ამნაირებიც“ ყველა ერშია, მათ შორის, ქართველებშიც.

ყველა დაფარული და დაცული იყოს ნებისმიერი გადახრისაგან, მაგრამ სურვილი ერთია, ფაქტი — მეორე.

და კიდევ ერთი, ამ ბოლო დროს ერთ ცნობილ, ნიჭიერ ქართველს რომ ახსენებთ წარამარა (ვახტანგ ჭაბუკიანი) — აი, ისიც ხომ „ისეთი“ იყო, მაგრამ ტაშს უკრავდით და დღემდე აღფრთოვანებულები ხართო, რომ გვეუბნებით, მინდა, გითხრათ — ვერც ერთ მის როლს ვერ მაჩვენებთ, სადაც დასცინის ეროვნულობას, ეროვნულ ტრადიციას და იმ საქმეს, რომელსაც ისე ემსახურა, რომ მსოფლიო ვარსკვლავთა შორის გაბრწყინდა...

ბოლოს: 1990 წელს, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ანატოლ დომანმა (ფილმის „გრძნობათა იმპერია“ პროდიუსერი) გაიხსენა, როგორ წაიყვანა ერთი მეძავი ქალი ლუვრში, რათა მის რეაქციებს დაკვირვებოდა და განაცხადა: „მე გაოცებული ვუყურებდი სირცხვილისგან გაწითლებულ ქალს, რომელიც მიმითითებდა რა ხელოვნების უკვდავ ნაწარმოებებზე, სახელოზე მექაჩებოდა და მეკითხებოდა, როგორ შეიძლება საჯაროდ ამგვარი უმსგავსობის გამოფენაო.“

დიახ, აბსოლუტურად ვეთანხმები დარეჯანს და ჩემის მხრივ დავამატებ — ფილმი „და ჩვენ ვიცეკვეთ“ „გრძნობათა იმპერიის“ ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს და ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა — ლამბადა ჯობდა!

წერილს კი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის ფეისბუქ-პოსტით დავასრულებ: **„და ამ ყველაფრის ფონზე, რაც ჩემს საყვარელ ქვეყანაში ხდება და რასაც მთელი დღეა, სახელიც კი ვერ მოვუძებნე, თითქოს სიმბოლურად, სადღაც ჩრდილში და მორცხვად დგას ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე — ყველაზე დიდი შემწყნარებლის და თვითონ შეუწყნარებელი კაცის. კაცის, ვისაც ყველა ახსენებს და არავინ ითვალისწინებს“.**

გია გაბრიჭიძე

„ჩვენი ბავშვები ფილმში მოტყუებით გადაიღეს...“

მძონდა ინფორმაცია, რომ ფილმს ქართულ ტრადიციულ ცეკვაზე იღებდნენ, ბავშვებთან და მშობლებთან ჩემი რიგი პასუხისმგებლობა მეკისრება, — ამის შესახებ თეატრ „მეორე სახლის“ ხელმძღვანელი ნინო მესხი აცხადებს, რომლის არასრულწლოვანი მოსწავლეები ლევან აკინმა ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ გადაიღო.

როგორც მესხი ამბობს, ფილმის გადამღები ჯგუფი ვალდებული იყო, აეხსნა, რა ფილმზე იყო საუბარი.

„ფილმის გადამღები ჯგუფის წარმომადგენლები გვიან ღამით დამიკავშირდნენ. ორი ბავშვი სჭირდებოდათ, ვინც ცეკვა იცოდა. დილით გადაღებაზე დავიბარე, მივეცი მშობლების ნომრები. ჩემი ინფორმაციით, ქართულ ტრადიციულ ცეკვაზე იყო ეს ფილმი. ჩემი რიგი პასუხისმგებლობა მეკისრება ბავშვებთან და მშობლებთან. ვალდებულები იყვნენ, ერთი ფრაზით მაინც აეხსნათ ამ ფილმის შესახებ, თუკი თემა იყო ასეთი სენსიტიური. ვერც წარმოვიდგენდი, თუ მსგავს სიტუაციაში ჩავვარდებოდი დღეს“, — თქვა თეატრ „მეორე სახლის“ ხელმძღვანელმა.

ორი არასრულწლოვანის მშობელი, რომელთა შვილებიც ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ გადაიღეს, პროკურატურაში სარჩელის შეტანას გეგმავს.როგორც დღეს პრესკონფერენციაზე ზურაბ ღვინიაშვილმა და ზიზი ტოგონიძემ განაცხადეს, მათი შვილები ფილმში მოტყუებით გადაიღეს.

უტებში“ აღიზარდნენ, ბევრ მათგანს გვარი შეუცვალეს, რათა სამუდამოდ დაევიწყებინათ ოჯახი, დედ-მამა და ნათესავები... ამ ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერასდროს ვერ იქცა. ბევრი მათგანი მართლაც დარწმუნებული იყო, რომ მათი მშობლები სახელმწიფოს წინაშე დამნაშავენი, „ხალხის მტრები“ იყვნენ. მოულოდნელად, XX საუკუნის 50-იან წლებში მათ მიიღეს ოფიციალური დოკუმენტი, რომ მშობლები უდანაშაულოდ, შეცდომით იყვნენ დასჯილნი. რა გრძნობით უნდა ეცხოვრა ასეთ ადამიანს საბჭოთა რეჟიმის პირობებში?! ვისი უნდა ერწმუნა მას, ვინც უდანაშაულო მშობლები დაუხვრიტა, თუ ვინც მათი რეაბილიტაცია მოახდინა!

საბჭოთა რეჟიმის დაცვის მიზნით ო. ხახაშვილი მრავალ ორიგინალურ დასკვნას გვთავაზობს. აი, ერთი მათგანი: **„1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, ისევე, როგორც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, საბჭოთა კავშირის დანგრევის პერიპეტიებია და მათი საბჭოთა რეჟიმისათვის მიწერა ისტორიის გაყალბების მცდელობაა“.** ბატონო ომარ! ვინ გასცა ბრძანება მშვიდობიანი მომიტინგეებისა და მოშიმშილეების ფეთქებადი ტყვიებითა და მესანგრეთა ალესილი ნიჩბებით დახოცვის შესახებ?! **ტყუილად ირჯებით, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და მის ლიდერებს ნიკიტა ხრუშჩოვსა და მიხეილ გორბაჩოვს მამა აბრაამის ბატკნებად ვერ გამოიყვანთ. დიახ, ეს ტრაგედიები საბჭოთა რეჟიმის სინდისზეა!**

ჩემთან პოლემიკაში გართული ო. ხახაშვილი წერს: „მაგრამ ბედად ხელისუფლებაში (იგულისხმება საბჭოთა კავშირის ხელისუფლება — **ვ. ბ.**) აღმოჩნდნენ ქართველი პატრიოტები — სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები (მოგვწონს თუ არა ისინი)...“ აკი ვწერდი პირველ წერილში, ისეთი დრო მოდის, რომ პატრიოტობა შეიძლება სალანძღავ სიტყვად იქცეს და სამშობლოს სიყვარული დანაშაულად შეირაცხოს-მეთქი. ორჯონიკიძე — ქართველი პატრიოტი! ამაზე მეტი ცინიზმი იქნება?!

ბატონმა ომარმა არჩილ ჯორჯაძის ნაშრომიდან ერთი ამონარიდი მოიტანა, თუმცა ვერ გავიგე, რა მიზნით. მინდა, ჩემს ოპონენტს არჩილ ჯორჯაძის ნააზრევიდან ორი უმნიშვნელოვანესი რამ შევახსენო. **დიდი ქართველი პატრიოტი, XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობის ისტორიის ანალიზის შემდეგ დაასკვნიდა: XIX საუკუნემ დაადასტურა ქართველი ერის მიერ რუსული სახელმწიფოებრიობის შეუწყნარებლობა. ჩემი ოპონენტი კი გაიძახის, ძველი გზა და ძველი მეგობარიო. მეორეგან არჩილ ჯორჯაძე დამწუხრებული წერდა, რომ XX საუკუნე კოსმოპოლიტიზმის საუკუნე იქნებოდა. ბატონო ომარ, ქართველი ერის ისტორიული არჩევანის განსჯას რომ აპირებდით, არჩილ ჯორჯაძის ნაწერები მაინც წაგეკითხათ!**

დიდი იმედი არ მქონია, რომ ჩვენ რაიმეზე შევთანხმდებოდით. მე გახარებული ვარ იმით, რომ საქართველო რუსეთის კოლონია აღარ არის და თანდათან იბრუნებს თავის ისტორიულ ფუნქციას კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში. თქვენ დამწუხრებული ხართ იმით, რომ საქართველოში რუსეთის ბატონობა დასრულდა და ცდილობთ, გაამართლოთ ყველა ის უბედურება, რაც ქართველ ერს თავს დაატეხა საბჭოთა რეჟიმმა. თქვენ ამ უბედურების დავიწყება შეგიძლიათ, მე კი — არა!

დაბოლოს, 1918 წელს და 1990-1991 წლებში საქართველოს მოსახლეობამ თავისი არჩევანი გააკეთა. კარგად დაფიქრდით, ბატონო ომარ! გაქვთ კი თქვენ იმის მორალური უფლება, რომ საქართველოს მოსახლეობის არჩევანი განსაჯოთ?!

ვახტანგ გურული,
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

რატომ იცავენ მთავარ ქრისტიანულ სიწმინდეს მუსლიმები?..

ბავშვობიდან იცოდა, რომ განსაკუთრებული მისიით დაიბადა. იგი მას ათწლეულების განმავლობაში შეასრულებს, მერე კი ვაჟს გადაულოცავს. მამაკაცები **ვაჯიხ ნუსეიბეს** გვარიდან იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის მცველები არიან. მთავარი ქრისტიანული სიწმინდის კარს 13 საუკუნის განმავლობაში მუსლიმები იცავენ, ხსნიან და კეტავენ.

ვაჯიხ ნუსეიბე 1949 წლის აპრილში იერუსალიმში დაიბადა. სწავლობდა არაბულ სკოლაში. დაამთავრა ქალაქ რამალას სიახლოვეს არსებული ბირზეიტის კოლეჯი (ამჟამად უნივერსიტეტი) და 15 წელი იერუსალიმის ერთ-ერთ კერძო კომპანიაში იმუშავა. ფლობს 5 (არაბულს, ინგლისურს, თურქულს, ივრითსა და ფარსის) ენებს. დაოჯახებულია, ჰყავს 3 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის გასაღები 1975 წლიდან აბარია.

— ვაჯიხ, თქვენ ხშირად გხედავენ მჯდომარეს ხის სკამზე კარიბჭიდან მარცხენა მხარეს ან ეზოში...ეს თქვენი სამუშაო ადგილია?

— შეიძლება, ასეც ითქვას. მიუხედავად იმისა, რომ კარიბჭესთან მუდმივად ყოფნას არავინ მაიძულებს, ბაბუაც და მამაც ამას აუცილებლად მიიჩნევდნენ. ხანდახან, საკმაოდ იშვიათად ტაძარში ექსკურსიებს ვატარებ, დანარჩენ შემთხვევებში უბრალოდ თვალ-ყურს ვადევნებ შემომსვლელებს. ახლა, მაგალითად, ეზოში სახურავს არემონტებენ, ამიტომაც ვაფრთხილებ ტურისტებს, რომ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სიფრთხილე გამოიჩინონ. მამაკაცებს, რომლებიც ტაძარში თავსაბურავებით აპირებენ შემოსვლას, მათ მოხდას ვთხოვ. ასევე მივმართავ ახალგაზრდა ქალებს, რომლებსაც თავისუფლად აცვიათ, თავი შეიმოსონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემს მოვალეობაში არ შედის.

— თავად თქვენ ჩვეულებრივად გაცვიათ, არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არ გაქვთ...

— ტაძრის კარიბჭის მცველებს არანაირი სპეციალური სამოსი ან განმასხვავებელი ნიშანი არ გაგვაჩნია. ერთადერთი, სადღესასწაულო დღეებში სამსახურში კლასიკურ კოსტიუმში და ჰალსტუხში გამოწყობილი მივდივარ.

— და რაში მდგომარეობს თქვენი ყოველდღიური მოვალეობები?

— ყოველდღიურად, გამთენიისას ტაძრის კარს ვხსნი. ზამთარში ამას ღამის 4 საათზე ვაკეთებ, ზაფხულში — 5-ზე. კარის დაკეტვის პროცედურა კი ზამთრობით საღამოს 7 საათზე იწყება, ზაფხულობით — 9-ზე. ეს ჩვეულებრივ დღეებში. მაგრამ, როდესაც ღამის სადღესასწაულო ღონისძიებები ტარდება, ტაძარი განსაკუთრებულ რეჟიმში მოქმედებს. მართლმადიდებლებისთვის, მაგალითად, ლიტურგია შაბათის ღამის 11 საათზე იწყება, და კვირას, დღის 2 საათამდე გრძელდება. ლიტურგიამდე სპეციალურად მოვდივარ კარის გასახსნელად და ღვთისმსახურების შემდეგ მას ისევ ვკეტავ.

— როგორ აღმოჩნდა მართლმადიდებლების მთავარი სიწმინდის კარის გასაღები მუსლიმი ოჯახის ხელში?

— 638 წელს ხალიფ ომარ იბნ ალ-ხათაბის ჯარმა იერუსალიმი ისე დაიპყრო, რომ სისხლის ერთი წვეთიც არ დაუღვრია. მუსლიმები იერუსალიმს **ალ-ქუდს** — **წმინდა ქალაქს** უწოდებდნენ და მისი მცხოვრებლებისთვის ზიანის მიყენება არ სურდათ. იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონიმ ხალიფს ქალაქის მფარველობა სთხოვა, ყველა მისი სიწმინდისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით. ომარი დასთანხმდა. მუსლიმი უხუცესები ამ ტაძარში საპატიო სტუმრების სტატუსით მიიწვიეს. მათ იხილეს ქრისტიანების მთავარი სიწმინდეები — გოლგოთა და წმინდა გამოქვაბული. პატრიარქმა სოფრონიმ ქალაქისა და ტაძრის გასაღები ხალიფს ჩააბარა, მან კი ჩემს წინაპარს — უბაიდა იბნ ალ-სამიტს გადაულოცა, რომელიც პალესტინის პირველი არაბი მმართველი და ნუსეიბეს ოჯახის ფუძემდებელი გახლდათ. იმ დროიდან ჩვენი გვარის წარმომადგენელი მამაკაცები ტაძრის კარიბჭის მცველებად მსახურობენ. ასწლეულების განმავლობაში ეს მოვალეობა ჩვენს ოჯახში მამიდან შვილს გადაეცემა, ხოლო, თუ მამას ვაჟი არ ჰყავს — უახლოეს ნათესავს მამაკაცის ხაზით. ბაბუაჩემ ჰუსეინის გარდაცვალების შემდეგ კარიბჭის მცველი მამაჩემი იაკუბი გახდა. მე ეს ესტაფეტა 1975 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ გადავიბარე. ის, თუ რა როლს ასრულებს ჩვენი ოჯახი ქრისტიანული სამყაროს მთავარი ტაძრის არსებობაში, ადრეულ ბავშვობაშივე ამიხსნეს.



— ესე იგი, ამ კარის გასაღები უწყვეტად თქვენი გვარის ხელში 1377 წლიდან არის, ძნელი დასაჯერებელია...

— მხოლოდ 1099-დან 1187 წლამდე, როდესაც ჯვაროსნების იერუსალიმური სამეფო არსებობდა, ტაძრის გასაღები კათოლიკეების ხელში იყო, მაგრამ 1187 წლიდან ეგვიპტეს სულთნის — სალაჰ-ად-დინის ჯარმა იერუსალიმს შემოუტია და ყველა კათოლიკეს ხარკის გადახდა და გემებით ევროპაში გამგზავრება შესთავაზეს. 1187 წლიდანვე სალაჰ-ად-დინის ბრძანებით ტაძრის გასაღები ჯუდეჰების მუსლიმურ ოჯახს ჩაჰბარდა, მაგრამ კარის გახსნისა და დაკეტვის უფლება მაინც ჩვენს ოჯახს დარჩა.

— როგორ გადასცემენ ერთმანეთს ნუსეიბეს და ჯუდეჰების ოჯახების წარმომადგენლები ტაძრის კარის გასაღებს და სად ინახება იგი?

— დღისით გასაღები ტაძარში, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე ინახება, ღამით, ჯუდეჰების ოჯახში. როდესაც დილით კარის გასაღებად მივდივარ, გასაღებს მისი წარმომადგენელი ადრი მაძლევს, საღამოს, კარის დაკეტვის შემდეგ გასაღებს კვლავ მას ვუბრუნებ. ექსტრემალური აუცილებლობის შემთხვევებისთვის (მაგალითად, მაღალი დონის სტუმრების ვიზიტის დროს) გვყავს მუსლიმი მსახური, რომელიც ღამეს ტაძრის სიახლოვეს ათევს. მას წინასწარ აყენებენ საქმის კურსში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ, გადასცემენ გასაღებს და კარს გამონაკლისის სახით ის ხსნის.

ყოველ დილას სომხური ეკლესიისგან 25 შეკელს (დაახლოებით 6 ევრო) ვიღებ, ამდენივეს მაძლევს კათოლიკე-ფრანცისკანელი მსახური. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც ამ ტაძარში ყველაზე დიდი წილი აქვს, 500 შეკელს (დაახლოებით 116 ევროს) მიხდის. ჯამში თვეში დაახლოებით 16-17 ათასი შეკელი (4000 ევრო) გამოდის **(ეს 1,5-2-ჯერ აღემატება ისრაელში სკოლის პედაგოგის საშუალო ხელფასს — რედ.)**. სირიელები, კოპტები და ეთიოპიელები სტატუს-კვოს შესახებ 1852-1853 წლების ბრძანებულებებით გათავისუფლებულები არიან კარის გახსნისთვის დაწესებული გადასახადისგან.

— იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის რამდენი გასაღები არსებობს და რა ზომისაა ისინი

— ტაძრის რამდენი გასაღები არსებობს — საიდუმლოა. მე ამაზე საუბრის უფლება არ მაქვს. თუმცა არსებობს მთავარი გასაღები, არსებობს სათადარიგო. მთავარი რკინისგანაა დამზადებული და ნახევარ კილოგრამს იწონის. სიგრძით 30 სანტიმეტრია. საკეტის მსგავსად, ისიც ოსმალეთის პერიოდის დასაწყისში, დაახლოებით 1524 წელს არის დამზადებული.

— საკეტებზეც თქვენ ხართ პასუხისმგებელი?

— კვირაში დაახლოებით სამჯერ ვწმენდ ქვედა და ზედა საკეტებს, ვასწორებ ბორბლებს ძველებურ მექანიზმებში, თვალს ვადევნებ, რომ არ დაჟანგდნენ და თავისუფლად მოძრაობდნენ. თუ ამ მხრივ პრობლემები იქმნება, მათ თავად ვაგვარებ. მე ხომ განათლებით ინჟინერი ვარ და უფრო რთულ ტექნიკასაც თავისუფლად ვუმკლავდები.



— მაგრამ ასეთ უზარმაზარ კარს როგორ უმკლავდებით? საკეტები ხომ დიდ სიმაღლეზეა განლაგებული...

— ჩემთვის ეს დიდი ხანია, ჩვეული საქმეა. ზედა საკეტამდე ასაღწევად სპეციალური კიბით ვსარგებლობ. კარებს სათითაოდ ვაღებ — ძალიან მძიმეა. ზუსტად არც კი ვიცი, ხის რომელი სახეობისგანაა დამზადებული. დიდი ალბათობით, ძირითადი მასალა მუხაა, სხვა მყარი ჯიშების დამატებით — ასე უფრო სანდოა. ბოლოს კარები 1808 წელს, ხანძრის შემდეგ შეცვალეს. შიდა მხრიდან რკინით დაფარეს. კარის მარჯვენა ნახევარზე, მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე თუჯის რგოლია ჩამონტაჟებული. ამ რგოლით კარზე სამჯერ ვაკაკუნებ და ამით ვიძლევი ნიშანს, რომ დროა, მომლოცველებმა ტაძარი დატოვონ. ზამთარში პირველად საღამოს 7 საათზე ვაკაკუნებ და შემდეგ ტაძრის სივრცეს ვათვალიერებ, მეორედ — ნახევარ საათში, ბოლოს — 19:45 და 20 სთ-ზე, მას შემდეგ, რაც ტაძარს დადგენილი ტრადიციის თანახმად უკანასკნელები მართლმადიდებელი ბერძნები დატოვებენ, კარს ვკეტავ და გარედან კლიტეს ვადებ.

— აღგომის პერიოდში, ალბათ, საქმე გემატებათ...

— დიახ, რა თქმა უნდა. მთავარი ამოცანაა, არ მოხდეს ჭყლეტა. როდესაც ათასობით მომლოცველი გროვდება, პოლიციას ხალხის ნაკადების მართვაში ვეხმარები. დილით იმ დღეს, რომელსაც მართლმადიდებლები „დიდ შაბათს“ უწოდებენ, კუვუკლიის **(ეს არის უშუალოდ ქრისტეს საფლავის თავზე მდგომი კოშკურა — რედ.)** შემოწმების პროცედურა ტარდება ცეცხლის გარე წყაროების არარსებობის დასადასტურებლად. წმინდა ცეცხლი ხომ სწორედ აქედან გადმოედინება. ამის შემდეგ ბერძნები წმინდა გამოქვაბულში შესასვლელს კეტავენ და მე შესასვლელ კარს ცვილის დიდ ბეჭედს ვადებ. იერუსალიმის მერიის წარმომადგენლები მას საკუთარ დაღებს ასვამენ. ნახევარ საათში არაბი მართლმადიდებელი ახალგაზრდობა (არაბებს შორის კი საკმაოდ ბევრია სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანი) ყიჟინითა და დაფდაფების ცემით შემოდის ტაძარში და იწყებს სიმღერას, ცეკვასა და ლოცვას წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისთვის.

იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძარი ქრისტიანული ეკლესიის ექვს კონფესიას შორის არის გადანაწილებული. თითოეულ მათგანს ლოცვისთვის გარკვეული საათები გამოეყო. ეს დაყოფა, როგორც სტატუს-კვო 1852-1853 წლებში განამტკიცა თავისი ბრძანებულებებით ოს-

მალეთის იმპერიის სულთანმა აბდულ მეჯიდმა. თავად რეგლამენტაცია სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის უფლებამოვალეობების თემაზე გამუდმებული დავების გამო იქნა შემოღებული. შესაბამისად, სტატუს-კვოს დაცვა ქრისტიანებს შორის მშვიდობისა და პარიტეტის წინაპირობაა. მისი შენარჩუნების მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკვე 180 წელზე მეტია, არავის უხლია ხელი ხის კიბისთვის, რომელიც შენობის ფასადის მხრიდან მეორე სართულზეა განთავსებული და მიდის სომხური ეპარქიის კუთვნილი ფანჯრისკენ, მაგრამ ეყრდნობა კარნიზს, რომელიც ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნის. არავინ იცის, რა აღმსარებლობის იყო ადამიანი, რომელმაც აქ ეს კიბე დატოვა და როდის მოხდა ეს, თუმცა 1834 წლის გრავიურაზე კიბე უკვე არის გამოსახული. სადღეისოდ უძრავი კიბე სიმბოლოა შიდა შეთანხმების შესრულებისა, რომლის თანახმად, ტაძარში ექვსივე კონფესიის თანხმობის გარეშე არაფერი უნდა შეიცვალოს.

— მუსლიმური რწმენა ქრისტიანულ ტაძარში მუშაობაში ხელს არ გიშლით?

— მე სუნიტი მუსლიმი ვარ, პალესტინელი და ამით ვამაყობ. შეძლებისდაგვარად მუსლიმებისთვის წმინდა დღეს, პარასკევს სალოცავად დავდივარ სატაძრო მთაზე ქუბათ ას-სახრას მეჩეთში. იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრიდან რამდენიმე ნაბიჯში ალ-აქსას მეჩეთია განთავსებული, რომელსაც ამ ადგილზე მლოცველმა ხალიფმა ომარ იბნ ალ-ხათაბმა ჩაუყარა საფუძველი. ხანდახან აქ ვლოცულობ. ჩემი საცხოვრებლის გვერდზეც გვაქვს მეჩეთი.

— და შორსაა თქვენი სახლი სამსახურისგან?

— იგი ძველი ქალაქის ფარგლებში, იორდანიული ჩრდილო-აღმოსავლეთ კარიბჭის სიახლოვეს მდებარეობს, სამსახურიდან 10-15 წუთის სავალზე. თავად სახლი 400-ზე მეტი წლისაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მასში ნუსეიბეს გვარის წარმომადგენლები სახლობდნენ. უკვე 35 წელია, მასში ჩემს ერთადერთ მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ. ოთხი შვილი გვყავს — სამი გოგო და ერთი ვაჟი — უვადი, რომელიც ახლა 31 წლისაა. ბავშვები უკვე დაქორწინებულები არიან, მყავს ორი შვილიშვილიც. უვადი, რომელიც ტაძრის გასაღებს ჩემს შემდეგ გადაიბარებს, ჩემს გზას გაჰყვა — განათლებით ინჟინერია და კერძო კომპანიაში მუშაობს. როდესაც პრობლემები იქნება, მაგალითად, ავად ვხდები, ჩემს საქმეს ის ასრულებს. ასევე მეხმარება დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში კარის გახსნა-დაკეტვაში.

— საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ტაძრის მფლობელ ექვს ქრისტიანულ კონფესიებს შორის კონფლიქტები ხდება. თუ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათ მოგვარებაში მიგიღიათ მონაწილეობა?

— ყველაფერი მომხდარა. ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც აღგზნებულები ქცევის ეთიკური ნორმის ფარგლებს გასცდენიან. ამაყი ვარ იმით, რომ ჩემს აზრს ითვალისწინებენ და კონფლიქტი მშვიდობიანად მთავრდება. მე ექვსივე კონფესიის წარმომადგენლებთან ერთნაირი ურთიერთობა მაქვს.

— ტურისტები თუ გასაჩუქრებენ?

— ხანდახან თავიანთი ქვეყნების მონეტებს მჩუქნიან ექსკურსიის ჩატარების საფასურად. მე მათ ჩემს კოლექციაში ვაგროვებ. ჯერ კიდევ ბავშვობაში, როდესაც ძველი ქალაქი იერუსალიმი იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა, არაბული ქვეყნების მონეტებს ვაგროვებდი. ეს ჰობი დღემდე შემომრჩა. ახლა შემიძლია, მაჯის საათების შეგროვებაც დავიწყო. უკვე ათზე მეტი მაჩუქეს.

— შვებულებები თუ გაქვთ?

— დიახ, ჩემი სამსახური ადგილზე მუდმივად ყოფნას მოითხოვს, თუმცა ხანდახან მაინც ვახერხებ ქალაქიდან გარკვეული დროით გასვლას. მომხრე ვარ იმის, რომ არავინ არავის უთითებდეს, სად და ვისთვის ილოცოს, რა არის ჭეშმარიტება, რომ მორწმუნეები მთელი გულით ლოცულობდნენ, ჩარევის, ძალის გამოყენების და რელიგიური შეუწყნარებლობის გარეშე. მჯერა, რომ იერუსალიმში ადგილი ყველასთვის მოიძებნება.

HTTP://ACCENT.COM.GE/

გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უამრავ ცნობილ პიროვნებას მოეყარა თავი. საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ (თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე), საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარმა“ (თავმჯდომარე ვახუშტი ძიზიმურაშვილი) და ქართული საგვარეულო კავშირების შექმნის გვართა ისტორიების წარმოჩინების საზოგადოებამ (პრეზიდენტი მარინე წერეთელი) წარმოადგინეს ერთობლივი პროექტი „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“.

პროექტის წამყვანი გახლდათ პოეტი და პუბლიცისტი **ნანი საბანაძე.** მან ვრცლად ისაუბრა საქართველოს კულტურული ცივილიზაციის მემკვიდრეობის შესახებ და საზოგადოებას ღვაწლმოსილი და გამორჩეული პიროვნებები წარუდგინა, რომელთაც დიდი ღვაწლი აქვთ შეტანილი საქართველოს კულტურის, განათლების, მეცნიერების, მედიცინის, ხელოვნების და სხვადასხვა დარგის განვითარების საქმეში.

ღირსეულ ქალბატონებს მიესალმნენ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები (მეღვინეობის დარგში) ვაჟა მამაიაშვილი, თამაზ კობაიძე, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ბაკურ გულუა, თსუ-ის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო პოპიაშვილი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, გოგი შავერზაშვილი და სხვები.

ნანი საბანაძემ საინტერესოდ ისაუბრა მსოფლიო პრიმაბალერინა, თბილისის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის **ნინო ანანიაშვილის** დამსახურებაზე. მან პერსონალურად წარუდგინა საზოგადოებას ქართული გვარების ღირსეული წარმომადგენლები: **ნათელა ვაჩნაძე** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზანტიოლოგთა ეროვნული კავშირის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი; **მარინე კანდელაკი** — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი; **მარინე წერეთელი** — საგვარეულო კავშირების უცვლელი პრეზიდენტი, პირადად მას 360 გვარის ისტორია აქვს დამუშავებული; **ქეთევან თუხარელი** — თსუ-ის პედაგოგი, ამერიკულ-ბრიტანული, რუსული პოეზიის და პროზის ქართულ-რუსულ და ინგლისურ ენებზე მთარგმნელი; დარბაზი დიდი ოვაციით შეხვდა ცნობილ კომპოზიტორებს — **მაცაცო სებისკვერაძეს, ნუნუ დუღაშვილს, მაყვალა ხორბალაძეს; ელეონორა ბაბუნაშვილი** — სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული, მაღალკვალიფიციური ექიმი-თერაპევტი, საოპერო და კლასიკური მუსიკის მელომანი; **ქეთევან კიკნაძე** — ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი, ლეგენდარული გიგა ლორთქიფანიძის მეუღლე; **მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძე** — ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის პრეზიდენტი.

საზღვრისპირა დედოფლისწყაროს გამორჩეული ქალბატონების ნაირა გორაშვილის, ნათელა ღრუბელაშვილის, ლია კობაიძის, თამარ მოძღვრიშვილის, ნუნუ ცაკაშვილის, მარიეტა გონაშვილის, ნანული ნატროშვილის, თამარ ბაღაშვილის, ლია ოზაშვილის შესახებ ვრცლად ისაუბრა პროექტის ორგანიზატორმა **ნანა ჭიჭინაძემ.**

გობეჯიშვილ-პოპიაშვილის გვარი წარმოგვიდგინა თავად დედოფლისწყაროელმა, კულტურის დარგის დიდმა ქომაგმა **ნელი გობეჯიშვილმა.**

პროექტში სპეციალური მოწვევით მონაწილეობდნენ ნორჩი დეკლამატორები: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემოქმედის საჯარო სკოლის მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლე **მარიამ ტოხიშვილი,** რომელმაც საკუთარი ლექსები წაიკითხა და პირველი საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე **დემეტრე ფიროსმანაშვილი,** დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებდა მათ.

შემდეგ გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, რომელშიც ახალგაზრდა თაობის ქართველ პიანისტთა გამორჩეული წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ საფორტეპიანო და სავიოლინო ნომრები შეასრულეს.

სპეციალური მოწვევით კონცერტში მონაწილეობდნენ ოპერის წამყვანი სოლისტები: მსოფლიოს ბანი **რამაზ ჩიკვილაძე** და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის ოპერის წამყვანი სოლისტი, სახალხო არტისტი **ლიანა კალმახელიძე,** რომელთაც ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ ცანგალას და რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელადან“ ლელას არიები შეასრულეს.

პროექტის დასასრულ კომპოზიტორთა კავშირის ტრიომ ქეთევან თავშავაძემ, ია ბახტაძემ, მარიამ ჯინჭველაშვილმა შეასრულეს მაცაცო სებისკვერაძისა და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები.

ეს იყო ერთ-ერთი შესანიშნავი მუსიკითა და ლექსებით გალამაზებული დაუვიწყარი დღე.

მარიკა პოპიაშვილი

პოლონელები აშშ-ში უვიზოდ იმოგზაურებენ

როგორც პოლონური მედია იუწყება, 11 ნოემბრიდან პოლონეთი შეიყვანეს იმ ქვეყნების სიაში, რომელთა მოქალაქეებიც აშშ-ში 90 დღის განმავლობაში ვიზის გარეშე ჩადიან.

შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური განცხადება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თავმჯდომარე კევინ მაკლინანმა გააკეთა. მისი თქმით, პოლონელებს დღეიდან 90 დღის ვადით ტურიზმის და ბიზნესის მიზნით აშშ-ში ჩასასვლელად ვიზა არ დასჭირდებათ. სიმბოლურია, რომ ეს გადაწყვეტილება პოლონეთის დამოუკიდებლობის დღეს დაამთხვიეს. როგორც პოლონური მედია განმარტავს, პოლონეთის მოქალაქეებს მოუწევთ ელექტრონული ავტორიზაციის სისტემაში რეგისტრაცია და აშშ-ში გამგზავრებისთვის თანხმობის მიღება. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ ბიომეტრიული პასპორტი და დასაბრუნებელი ბილეთი.

ელექტრონული ავტორიზაციის სისტემაში რეგისტრაცია 14 დოლარი ღირს. შედარებისთვის, ვიზის მიღება 160 დოლარი ჯდებოდა. მგზავრობისთვის თანხმობის მისაღებად საშუალოდ 20 წუთია საკმარისი.

ბოლივიის პრეზიდენტი გადადგა

პრეზიდენტი ევო მორალესი გადადგა და გავრცელებული ვერსიით მისმა თვითმფრინავმა ქვეყანა უკვე დატოვა. გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მორალესმა განაცხადა, რომ ქვეყანაში განმეორებით არჩევნებს დანიშნავდა.

ბოლივიაში საპრეზიდენტო არჩევნები 20 ოქტომბერს ჩატარდა. წინასწარი შედეგების მიხედვით, არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა ევო მორალესმა გაიმარჯვა. ამას ქვეყანაში საპროტესტო აქციები მოჰყვა.

ირანმა ნავთობის ახალი საბადო აღმოაჩინა

პრეზიდენტ ჰასან როუჰანის განცხადებით, აღმოჩენილი საბადოს მოცულობა 53 მილიონი ბარელია.

საბადო 2400 კვადრატულ კილომეტრ ფართობს მოიცავს და ბოსთანიდან ომიდეის რეგიონამდეა გადაჭიმული. როგორც ჰასან როუჰანი ვარაუდობს, ქვეყანა აღნიშნული ნავთობსაბადოს საშუალებით 32 მილიარდ დოლარამდე შემოსავალს მიიღებს.

თურქეთიდან „ისლამისტების“ რეპატრიაცია დაიწყო

თურქეთმა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ დაკავებული მებრძოლების რეპატრიაცია დაიწყო. თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ანკარამ დეპორტაციას დაუქვემდებარა ამერიკელი მებრძოლი და მალე განახორციელებს გერმანიის შვიდი მოქალაქის დეპორტაციას.

გასულ პარასკევს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთის ციხეებში „ისლამური სახელმწიფოს“ 1201 წევრია დაკავებული.

გასულ კვირას თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ განაცხადა, რომ ოფიციალური ანკარა თურქეთის ჩრდილოეთში ოპერაციის დროს დაკავებული ტერორისტების მშობლიურ ქვეყნებში გაგზავნას უახლოეს დღეებში დაიწყებდა.

◎ კალათბურთი

B დივიზიონიც – თბილისში!

საქართველო 2020 წლის ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონს უმასპინძლებს. ეს ამბავი გერმანიის ქალაქ კიოლნში გამართულ ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და ამ ორგანიზაციის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე გიორგი ქართველიშვილი ესწრებოდა.

ეს გახლდათ ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს რიგით მე-3 შეხვედრა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის მაისში ახალი ვადით აირჩიეს თურქი პრეზიდენტი თურგაი დემირელი და ბორდის ახალი წევრები. კიოლნში გამართულ ევროკალათბურთის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე კონტინენტის მასშტაბით არაერთი ტურნირისა თუ ღონისძიების დაგეგმარებაზე იყო საუბარი — განიხილეს ქალთა და ვაჟთა ევრობასკეტების, ასევე, საერთაშორისო საკლუბო ტურნირების ორგანიზების დეტალები. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და საინტერესო კი ის გადაწყვეტილებები იყო, რომლებიც ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების ჩატარებას ეხებოდა. ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის 10-19 ივლისს კონტინენტის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონს, რომელშიც ევროპის 22 ქვეყნის ნაკრები ითამაშებს, თბილისი უმასპინძლებს.

ფიბა-ევროპის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ თბილისში ევრობასკეტ 2021-ის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩები უნდა მოეწყოს. ევროპის 20-წლამდელთა B დივიზიონის თბილისში გამართვა გენერალური რეპეტიცია იქნება ევრობასკეტ 2021-ის ჯეროვნად ჩატარებისთვის მოსამზადებლად.

თბილისში გაისად დაგეგმილი ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება და საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ სერბეთის, ლატვიისა და რუსეთის ნაკრებები. ეს იმ თაობის გუნდები არიან, რომლებმაც 2 წლის წინათ ევროპის 18-წლამდელთა A დივიზიონის ნახევარფინალში ითამაშეს. სერბეთი ევროპის ჩემპიონი გახდა, რომელმაც ფინალში ლატვიას მოუგო, ხოლო რუსეთი მე-3 ადგილისთვის მატჩში საფრანგეთთან დამარცხდა. ისე მოხდა, რომ ეს ნაკრებები წლეულს 20-წლამდელთა A დივიზიონიდან გავარდნენ და მომავალი წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვლენ B დივიზიონში საასპარეზოდ.

ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე ჩვენი ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვანი და საამაყო ფაქტიც დაფიქსირდა. ამ ორგანიზაციის აღმასრულებელმა მდივანმა კამილ ნოვაკმა, რომელმაც ბორდის წევრებს გასული წლის მოკლე ანგარიში ჩააბარა, განსაკუთრებით გამოარჩია თბილისში სექტემბერში ჩატარებული 3X3 ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ნოვაკის თქმით, მნიშვნელოვნად ხაზგასასმელია, რომ საქართველომ ასეთი მაღალი რანგის საკალათბურთო ტურნირს პირველად უმასპინძლა და ამას თავი იმდენად კარგად გაართვა, რომ მთელი კონტინენტის მასშტაბით წელს ფიბა-ევროპის ეგიდით გამართულ ღონისძიებებს შორის ეს ტურნირი ორგანიზების მხრივ საუკეთესო სამეულში შეევიდა.

ცნობისათვის: ევროპის სხვა ასაკობრივ ჩემპიონატებს, რომლებშიც საქართველოს ნაკრებები იასპარეზებენ, რუმინეთი და ბულგარეთი უმასპინძლებენ. კერძოდ, U18 ჩემპიონატის B დივიზიონი რუმინეთის ქალაქ ორადეაში, ხოლო U16-ის ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში შეიკრიბება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სამბო

მართლაც, ისტორიული...

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გამართულ სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით დღეს UFC-ის ქართველი მებრძოლი მერაბ დვალიშვილი საბრძოლო სამბოში ვერცხლის მედალოსანი გახდა.

მან ძალები 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოსინჯა და ფინალამდე დამაჯერებლად მივიდა, მანამდე კი კოლუმბიელ, თურქმენ, ლიეტუველ და ყაზახ მეტოქეებს მოუგო. „ოქროსთვის“ მედლისთვის ბრძოლაში დვალიშვილი რუს სტეფან კობენოვთან 1:4 დამარცხდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქამდე საბრძოლო სამბოში ქართველი სპორტსმენი მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკზე არ ასულა და დვალიშვილის მიერ მოპოვებული ვერცხლის მედალი ისტორიულია. ფინიშზე საჭიდაო სამბოში ქართული დელეგაციის წევრებმა მონაგარს კიდევ 3 ბრინჯაოს მედალი შემატეს.

მას 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში ელენე ქებაძე, 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა ბერულავა, ხოლო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა ბერძენიშვილი დაეუფლნენ, საერთო ჯამში კი საქართველოს ნაკრებმა 1 ოქროს (ვახტანგ ჩიდრაშვილმა — მეექვსედ), 5 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე პოზიციაზე განთავსდა, პირველ ადგილზე კი რუსეთი გავიდა.

ბეჟან დოლიძე

◎ ფიგურული სრიალი

მედლებიც, რეიტინგიც

ქართველმა მოციგურავეებმა „Volvo Open Cup-2019“ ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით დაასრულეს, თანაც სარეიტინგო ქულებით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეობის უფლება მიიღეს

ლატვიის დედაქალაქი 30 ქვეყნის 200-ზე მეტ სპორტსმენს მასპინძლობდა, მათ შორის სენიორთა კატეგორიაში მოცეკვავე ქართულ წყვილს მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას, ერთეულებში ირაკლი მაისურაძესა და ალინა ურუშაძეს და იუნიორთა შორის სპორტულ წყვილს ალინა ბუტაევასა და ლუკა ბერულავას.

რიგის საერთაშორისო ტურნირზე მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას მოპოვებულ ვერცხლის მედლებს ალინა ბუტაევასა და ლუკა ბერულავას „ბრინჯაო“ დაემატა. ასევე წარმატებით იასპარეზეს მაისურაძემ და ურუშაძემ ასაკობრივ კატეგორიაში. ირაკლი 15 ქვეყნის 16 მოციგურავეს შორის თავისუფალი პროგრამის გამარჯვებული გახდა, ხოლო ჯამური 220.35 ქულით მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ალინა კი, რომელიც 15 ქვეყნის 28 მოციგურავე სპორტსმენს შორის ასპარეზობდა, 163.83 ქულით მე-3 ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

ბალტიისპირეთში ქართველმა მოციგურავეებმა ორ ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალთან ერთად მოკლე და თავისუფალ პროგრამებში ტექნიკური ელემენტების შესრულებისათვის დადგენილი სარეიტინგო ქულები დააგროვეს, რაც მოცეკვავე წყვილს კაზაკოვა-რევიას, აგრეთვე ერთეულებში ირაკლი მაისურაძესა და ალინა ურუშაძეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეობის უფლებას ანიჭებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ სუმო

წაგებათა „ბუკეტი“

კიუშუ ბაშო კვლავ წარუმატებლად გრძელდება ქართველ სუმოისტთათვის. წლის ბოლო სუპერტურნირის მეორე საშეჯიბრო დღეს ლევან გორგაძის მეტოქე მეორე მაეგაშირა მიოგირიუ იყო და ტოჩინოშინი ჰიკიოტოშის ილეთით დამარცხდა.

ეს აღნიშნული წყვილის 23-ე დაპირისპირება იყო და ურთიერთშეხვედრებში მეტოქემ ტოჩისთან ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა — 12:11-ზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როგორც პირველ შეხვედრაში დასავლეთის მე-2 მაეგაშირა მეისეისთან, ასევე გუშინაც, ორთაბრძოლის დაწყებისთანავე უპირატესობას ქართველი სუმოისტი ეუფლება, თუმცა, მის გამარჯვებამდე მიყვანას ვერ ახერხებს და ორივე შემთხვევაში თითქმის ანალოგიური ილეთით მარცხდება. რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, დღეს ლევანი კომოსუბი ენდოს დაუპირისპირდება, რომელთანაც აქამდე 11 ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 5 მოგების საპირისპიროდ 6 მარცხია. ენდოს მიმდინარე ბაშოზე 1 მოგება და 1 წაგება აქვს. ამრიგად, ტოჩის შემოდგომის მეორე სუპერტურნირზე განცდილი 2 მარცხით სიტუაცია გაურთულდა, რადგან დარჩენილი 13 ორთაბრძოლიდან მხოლოდ 3-ის წაგების უფლება აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაშო ოძეკის პრესტიჟულ ტიტულს ვერ დაიბრუნებს.

ტოჩინოშინის მსგავსად, წააგო თეიმურაზ ჯუღელმაც, რომელიც რანგით მეორე დივიზიონ ჯურიოში ასპარეზობს. გაგამარუს მეტოქე ჯურიოს მე-13 ნომერი ჰოშორიუ იყო, რომელთანაც ჩვენებური იორიკირის ილეთით დამარცხდა.

ეს აღნიშნული წყვილის პირველი დაპირისპირება გახლდათ და მეტოქემ ურთიერთშეხვედრებში მოგებათა ბალანსი თავის სასიკეთოთ გახსნა.

ჯუღელის მომდევნო მეტოქე ჯურიოს მე-14 ნომერი იროდორი იქნება, რომელსაც აქამდე 2-ჯერ შეხვედრია და 1 შეხვედრაში მეტოქის ძლევა მოახერხა, ერთხელ კი თავად წააგო. გაგამარუს მიმდინარე ბაშოზე დადებითი ბალანსის დაფიქსირება სჭირდება და თუ დარჩენილი 13 ორთაბრძოლიდან 8-ის მოგებას ვერ მოახერხებს, დიდი ალბათობით მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დაქვეითდება.

კობა კობახიძე

◎ წყალბურთი

ღირსეულად ითამაშეს

თბილისის „დინამომ“ წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მორიგი მატჩი ჩაატარა და მიჯრით მეოთხე მარცხი განიცადა. რევაზ ჩომახიძის გუნდი თბილისში ტურნირის მოქმედ გამარჯვებულს, მთავარ ფავორიტსა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ფერენცვაროშს“ დაუხვდა და უნდა ითქვას, რომ ღირსეულადაც ითამაშა.

გადამწყვეტი პირველი პერიოდი გამოდგა, რომელიც ბუდაპეშტელებმა 5:0 მოიგეს და სწორედ ეს 8-წუთიანი მონაკვეთი აღმოჩნდა განმსაზღვრელი, რადგან შემდეგ „დინამოს“ მეტოქისთვის არაფერი დაუთმია.

დანარჩენი სამი პერიოდი ფრედ დასრულდა და საბოლოოდ, „ფერენცვაროშმა“ 15:10 იმარჯვა. B ჯგუფს 4 გამარჯვებით სწორედ უნგრული გუნდი ლიდერობს, ხოლო „დინამო“ 4 წაგებით ბოლო პოზიციას იკავებს. მომდევნო შეხვედრას თბილისური კლუბი 20 ნოემბერს საფრანგეთში „მარსელთან“ ჩაატარებს.

გიორგი ზოთაძე

სიმარტოვის ფესვები

კემბრიჯის **უნივერსიტეტის მედიკოსებმა დოქტორ ჯონ პერის ხელმძღვანელობით იმის გარკვევა გადაწყვიტეს, თუ რას მიჰყავს ადამიანები მარტოობამდე.**

- დიდ ბრიტანეთში 65 წელს გადაცილებული ყოველი მეოთხე ადამიანი სოციალური იზოლირების გრძნობას განიცდის, — განაცხადეს მკვლევარებმა. მათი თქმით ეს, გარკვეულწილად ცხოვრებისეული გარემოებებით, ანდა წარსული პირადი გამოცდილებითაა განპირობებული.

არადა, აღმოჩნდა, რომ საქმე მარტო ამაში სულაც არ არის... **თურმე, მარტოობისკენ მიდრეკილება ჩვენში გენეტიკურად ყოფილა ჩადებული.**

მკვლევარებმა მარტოხელა ადამიანთა დნკ-სტრუქტურები იმ პირთა ანალოგიურ მახასიათებლებს შეადარეს, ვისაც ნათესაურ-ახლობლურ ურთიერთობათა დეფიციტი არ გააჩნდა. მარტოხელად ადამიანი მაშინ ითვლებოდა, თუკი სახლში მარტოკა ცხოვრობდა, ახლობელ-მეგობრები კი მასთან კვირაში ერთზე ნაკლებჯერ სტუმრობდნენ.

მკვლევარებმა 15 გენეტიკური ვარიაცია აღმოაჩინეს, რომლებიც მარტოხელა ადამიანებისთვის საერთო იყო. ყველაზე პარადოქსული ის აღმოჩნდა, რომ „სიმარტოვის გენების“ ქრომოსომების ადგილმდებარეობა ადამიანების გადაჭარბებულ სიმსუქნეზე პასუხისმგებელი გენების ადგილმდებარეობას ემთხვეოდა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ **სიმარტოვე და ჭარბი წონა ერთმანეთთან მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული.**

— ადამიანის ჯანმრთელობა და ყოფაქცევა გენებისა და გარემოს რთული ურთიერთობებითაა განპირობებული, — ამბობს პროფესორი ჯონ პერი. — მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული სიმარტოვის თვისება 4-5 პროცენტით შეგვიძლია შევათავსოთ. მაგრამ, საოცრება სხვა რამეა — **როცა ადამიანებს წონაში დაკლების სტიმულს ვაძლევთ, ამით სიმარტოვის ეპიდემიას ვებრძვით!**

„სიმარტოვის გენის“ გარდა მედიკოსებმა სხვა აღმოჩენებიც გააკეთეს. მაგალითად ის, რომ **არსებობენ გენეტიკური კოდის უბნები, რომლებიც გვაიძულებენ რეგულარულად ვესტუმროთ, ვთქვათ, ლუდხანას (მემკვიდრეობითობის ალბათობა 4 პროცენტია), სპორტულ დარბაზს (3,4 პროცენტი), ეკლესიას (4,6 პროცენტი) და ა.შ.**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა: **ღირს კი საკუთარი ბედის შეცვლის მცდელობა, თუკი ჩვენი ჩვევები გენებშია კოდირებული?**

— ღირს! — ცალსახად პასუხობენ მეცნიერები — რადგან მიდრეკილება ყველა შემთხვევაში 5 პროცენტს არ აღემატება.

ჩვენს ყოფაქცევას გაცილებით მეტად სხვა ფაქტები განაპირობებს — ეს არის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, ჩვენთვის ავტორიტეტული ადამიანები, დაბოლოს, საკუთარი ნებისყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ, **ადამიანი კვლავაც საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონია, ამიტომაც საკუთარი უმოქმედობის გამართლება „წარსულის მძიმე გადმონაშთით“, თავის მართლების უბადრუკი მცდელობაა.**

ქობულეთის მერიის სამ თანამშრომელს - პატიმრობა, ერთს კი გირაო შეეფარდა

სამი **დღის წინ დაკავებული ქობულეთის მერიის ოთხი თანამშრომლიდან სამს ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, ერთი კი 30 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.**

საქმეს მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე განიხილავს.

ქობულეთის მერიის თანამშრომლებს ფინანსური პოლიცია ქრთამის აღებას ედავება.

ისინი სოფელ საჩინოს, ქაქუთისა და ხალას რწმუნებულები იყვნენ და საკუთარ სოფლებში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს ინსპექტირება ევალებოდათ.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულებმა საზოგადოებრივი ობიექტების მშენებელი კომპანიებისგან ქრთამის სახით 500-დან 1000 ლარამდე თანხა აიღეს და უხარისხოდ ჩატარებულ სამუშაოებზე რეაგირება არ მოახდინეს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ნადირობა ტრაგედიით დასრულდა

გორში 32 წლის მამაკაცი სანადირო თოფიდან გასროლით დაიღუპა. შემთხვევა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ილოზში ნადირობის დროს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი თანასოფლელებათან ერთად სანადიროდ იყო ტყეში წასული. მოგვიანებით კი გარდაცვლილი ნახეს.

როგორც ატენის მუნიცუპალიტეტის წარმომადგენელი ნუგზარ მძინარაშვილი ამბობს, უცნობია, მამაკაცს იარაღი გაუვარდა, თუ სხვისი ნასროლი ტყვია მოხვდა.

არდავიწყება

ფირუზ კანთელაძე

რამდენიმე **თვის წინათ ფირუზ კანთელაძეს 70 წლის იუბილე და სპორტის რაინდის წოდების მინიჭება მივულოცეთ. ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რომ მასთან მალევე მოგვიწევდა გამოთხოვება.**

კალათბურთელის აღნაგობით გამორჩეული თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ოქროს თაობის კოლორიტული მცველის კარიერა საკავშირო ნაკრებთან ერთად მოპოვებული ჭაბუკთა კონტინენტის ჩემპიონობით დაიწყო, მოგვიანებით კი საყვარელი კლუბის მაისურით მოხვეჭილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობითა და თასით დაგვირგვინდა, თანაც ამ უკანასკნელის დაუვიწყარ ფინალში ერევნის „არარატთან“ გადამწყვეტი პენალტი გაიტანა ისევე, როგორც განახლებულ „დინამოს“ სტადიონზე „კარდიფ სიტისთან“ გამართულ უეფას თასის გათამაშების საპასუხო მატჩში.

ქვეყნის პირველობის რამდენიმეგზის პრიზიორი ღირსების ორდენის კავალერიც გახლდათ, თუმცა, უპირველესად, მოკრძალებულ პიროვნებად და ჯიგრით მოთამაშე ოსტატად დაგვამახსოვრა თავი.

ამიტომაც გვიმძიმს მასზე წარსულში საუბარი.

ნათელი და სანთელი, რაინდო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

აქცია შუქრუთის მაღაროსთან

ჭიათურაში, შუქრუთის მაღაროსთან სოფელ შუქრუთის მოსახლეობის აქცია მიმდინარეობს.

აქციის მონაწილეები სოფლის ტერიტორიაზე არსებულ 11 მაღაროში კომპანია „ჯორჯიან მანგანეზს“ მადნეულის მოპოვების საშუალებას არ აძლევენ.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მანგანუმის მოპოვების შედეგად მიწა ცურავს, რის გამოც დაიბზარა მათი საცხოვრებელი სახლები და ეკლესია.

მოსახლეობის ინფორმაციით, კომპანიამ ზარალის ანაზღაურება დაზარალებულებს თვენახევრის წინ აღუთქვა, თუმცა პირობა დაარღვია. ადგილობრივები დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვენ.

„ხელისუფლებამ შეასრულოს მედიატორის როლი და დაიცვას ჩვენი უფლებები. სოფელი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ჯანიკო ლაბაძემ.

* * *

კომპანია „ჯორჯიან მანგანეზის“ საწარმოო პროცესების კოორდინატორის ევა ხეთაგურის თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება სოფელ შუქრუთის მოსახლეობის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მადნეულის მოპოვების სამუშაოებმა ადგილობრივების სახლები დააზიანა.

ხეთაგურის თქმით, მოსახლეობის სახლები დაზიანდა გასული საუკუნის 90-იან წლებში მიწისძვრისა და მაშინდელი კომპანია „ჯორჯიან მანგანუმის“ სამუშაოების შედეგად. როგორც ხეთაგური ამბობს, სახელმწიფოსგან და კომპანიისგან ოჯახებმა შესაბამისი კომპენსაცია მიიღეს.

„რაც შეეხება ბრალდებას, სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც სოფელ შუქრუთის მოსახლეობა და კომპანიის წარმომადგენლები შედიოდნენ, დასრულა მუშაობა და დასკვნის შედეგად კომპანიას ზარალი არ მიუყენებია მოსახლეობისთვის.

ამ დროისთვის მუშაობს კიდევ ერთი კომისია, რომელმაც მუშაობა 29 ოქტომბერს დაიწყო და მის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ექსპერტები შედიან. ველით ამ კომისიის დასკვნას“,- განუცხადა საქართველოს პირველ არხს ხეთაგურმა.

განახლებული საბავშვო ბაღი

თბილისის №126 ბაგა-ბაღმა 6-თვიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, აღსაზრდელები მიიღო. საბავშვო ბაღის შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო — მისი დერეფანი დარღვევით იყო ამოშენებული, რაც საფრთხეს წარმოადგენდა კონსტრუქციული მდგრადობის თვალსაზრისით. მძიმე მდგომარეობაში იყო სააღმზრდელო ჯგუფების ოთახები, დერეფნები და სველი წერტილები. გამაგრება-რეკონსტრუქციის პროექტის პარალელურად განხორციელდა შიდა სამღებრო სამუშაოებიც, მოწესრიგდა ცენტრალური გათბობის, სახანძრო უსაფრთხოებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები. რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიცვალა ბაღის ეზოს გზის საფარი, მოეწყო რამდენიმე სათამაშო მოედანი და სასეირნო სივრცეები.

ვაქცინა, რომელიც კიბოს მეტასტაზებს კლავს

მეცნიერებმა შექმნეს ახალი ჰიბრიდ-ვირუსი „COWPOX"-ი, რომელიც განკუთვნილია სიმსივნის განსაკურნად. მკურნალობას, რომელსაც უწოდებენ „CF33"-ს, შეუძლია, მოკლას კიბოს ყველა ნაწილაკი სპეციალურად დამზადებულ ლაბორატორიულ ჭურჭელში, რომელიც ქიმიური და ბიოლოგიური სინჯებისთვისაა დამზადებული.

მკურნალობა მომავალი წლიდან პირველად შემოწმდება იმ პაციენტებზე, რომელთაც მკერდის კიბო აქვთ. აღნიშნულ საკითხზე მომუშავე პროფესორი ფონგი ამჟამად ავსტრალიაში იმყოფება, სადაც კლინიკურ კვლევებს ატარებს. მისი თქმით, პაციენტებს, რომელთაც აქვთ მკერდის სიმსივნე, მელანომა, ფილტვის, კუჭისა და ნაწლავის კიბო, არის იმედები იმისა, რომ ისინი შეძლებენ ახალი ტექნოლოგიის საშუალებით გამოჯანმრთელებას.

მეცნიერის თქმით, სიმსივნესთან საბრძოლველი სპეციალური ვირუსი არ არის ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში. იგი აცხადებს, რომ მრავალი ნაწილაკების ნაერთებს ორგანიზმში შეუძლიათ მეტასტაზების გამოფიტვა და მათი სრულიად ალაგმვა. „გამაჯანსაღებელ ვირუსს" ორგანიზმში შეიყვანენ ინიექციის საშუალებით სწორედ იმ დაზიანებულ უბნებში, სადაც სიმსივნური წარმონაქმნები იჩენს თავს ადამიანის სხეულში.

გერმანიასა და აშშ-ში რობოტიზირებულ ქარხნებს დახურავენ

კომპანია Adidas-ი **გერმანიასა და აშშ-ში რამდენიმე ქარხნის დახურვას გეგმავს.**

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ზოგიერთი ტექნოლოგიის აზიაში დანერგვა „გაცილებით ეკონომიური და მოქნილია".

საუბარია მაღალტექნოლოგიურ, რობოტიზირებულ ქარხნებზე, რომლებიც კომპანიამ ბაზარზე მიწოდების ღირებულების და დასაქმებულთა ხელფასების ზრდის გამო გახსნა.

კონკრეტულად რა გახდა აშშ-ში და გერმანიაში აშენებული რობოტიზირებული ქარხნების დახურვის მიზეზი, კომპანიაში არ განმარტავენ.

ჰანოვერს თურქი მერი ჰყავს

ჰანოვერში პირველად აირჩიეს წარმოშობით თურქი მერი — ბელით ონაი, რომელიც „მწვანეთა პარტიას" წარმოადგენს. იგი წარმოშობით თურქი მოქალაქეა, რომელიც გერმანიაში ქალაქის არჩეული მერი გახდა. მას ჰანოვერის მოქალაქეთა 52,9%-მა დაუჭირა მხარი. მისი კონკურენტი „ქრისტიან-დემოკრატიული" კავშირის კანდიდატი ეკჰარს შოლცი იყო.

38 წლის ონაი პროფესიით იურისტია, ის ქვედა საქსონიის პარლამენტში დეპუტატად 2013 წლიდან მუშაობდა. მისი მშობლები წარმოშობით სტამბოლიდან არიან. თავად ონაი კი გერმანიაში დაიბადა.

აღსანიშნავია, რომ ჰანოვერი მეოთხე დიდი ქალაქია, ფრაიბურგის, დარმშტადტის და შტუტგარტის შემდეგ, რომელსაც „მწვანეთა პარტიის" წარმომადგენელი თავკაცი ეყოლება.

გერმანაში სამი მილიონი წარმოშობით თურქი ცხოვრობს.

გარდაიცვალა ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი

აშშ-ში თეატრისა და კინოს მსახიობი ლორელ გრიგსი 13 წლისა გარდაიცვალა. The New York Times-ის ცნობით, მას ასთმის შეტევა დაემართა.

ჰოსპიტალიზაციის მიუხედავად, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ლორელ გრიგსის დებიუტი ბროდვეიზე 6 წლის ასაკში შედგა. ის სპექტაკლ „კატებში" სკარლეტ იოჰანსონთან ერთად მონაწილეობდა.

შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი გადაიღეს სერიალებში „ლუი", „გუპი და ბუშტები". ასევე ის მონაწილეობდა საღამოს შოუში და ვუდი ალენის ფილმში „ნაღები საზოგადოება".

ბახუსის მოყვარული ქვეყნები

ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევა, რომელშიც დასახელდა ქვეყნები, სადაც ალკოჰოლის მოხმარება ყველაზე მაღალია.

ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარებით ლიტვა ლიდერობს, სადაც წლიური მოხმარება 12,3 ლიტრს შეადგენს. მეორეა ავსტრია (11,8 ლიტრი), მესამეა საფრანგეთი (11,7 ლიტრი). ხუთეულში მოხვდა ჩეხეთი(11,6 ლიტრი) და ლუქსემბურგი (11,3 ლიტრი).

ყველაზე ცოტა ალკოჰოლს მოიხმარენ ინდონეზიის მცხოვრებლები (0,3 ლიტრი). ასევე კვლევის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის დაბალი მოხმარება აღირიცხა თურქეთში (1,4 ლიტრი) და ისრაელში (2,6ლიტრი).

რეკორდული თერმოატომური აფეთქება კოსმოსში

აშშ-ს აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) ინფორმაციით, ტელესკოპმა INTER-მა 11 ათასი სინათლის წელიწადის დაშორებით მდებარე მშვილდოსნის თანავარსკლავედთან თერმოატომური აფეთქება დადასტურდა.



რეკორდულ ამოფრქვევას ჰქონდა თავისებურება, რომელიც სხვა დროს არ შეუნიშნავთ. ეს მოვლენა მაშინ ხდება, როცა ნეიტრონული ვარსკვლავი შთანთქავს მასში მოხვედრილ ნივთიერებას. ასტრონომების დასკვნებით, ეს მოვლენა (ბარსტერ J1808.4) მიეკუთვნება პირველ კლასს, რომლის დროსაც 10 წამში იმდენი ენერგია გამოიყოფა, რამდენსაც მზე 10 დღეში გამოყოფს.

მკვლევარებმა ასევე გამოავლინეს რენტგენის სხივები და სხვა სიგნალები, რომელიც აფეთქებას უკავშირდება.

ხანძარი სიდნეის უახლოვდება...

ავსტრალიის ორ შტატში ხანძრის გამო საგანგებო მდგომაროება გამოაცხადეს. როგორც ხელისუფლება აცხადებს, ახალი სამხრეთ უელსისა და ქუინსლენდის შტატში „კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი".

ცეცხლი დასახლებულ რაიონებს ემუქრება, რის გამოც ათასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო. ხანძარს უკვე ემსხვერპლა სულ მცირე სამი ადამიანი.

ოფიციალური პირების ინფორმაციით, ცეცხლის ლოკალიზება ამ დრომდე ვერ ხერხდება და, სავარაუდოდ, ხვალ ხანძარი სიდნეის მიუახლოვდება.

ახალი უელსისა და ქუინსლენდის შტატებში ამჟამად ცეცხლის 120 კერაა აღრიცხული. ხანძარმა 970 000 ჰექტარი ტყის მასივი გაანადგურა. მთლიანად დაიწვა 150 სახლი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის" გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი"
577 991651
577 308847
შპს „მაცნე"
599 982777
„პლანეტა ფორტე"
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9613; ევრო - 3.2687;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7943;
100 რუბლი - 4.6386; თურქული ლირა - 0.5143;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7418;
1000 სომხური დრამი - 6.2082

ამინდი 12 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+23
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge